140
1959/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა



140/3
69

# პიონერი

1
იანვარი
1959

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ბრწყინავს დროშა ლენინის!

ეს დროშაა ლენინის.
თუ ცისკარა ანთია?!
გზა დიდებით ფენილი
გვიხმობს, გმირო პარტიავ.

არა მარტო სწავლით და
წიგნითა ვართ გართული.
გვიყვარს როცა ზეცაში
სართულს მისდევს სართული.

მივუზიდეთ მშენებლებს
ათასობით აგური.
ათასობით შრიალებს
ნერგი ჩვენგან დარგული.

პიონერულ სიმღერას
უფრო ავაწკრიალებთ,
დაზგებს შევეფიცებით.
ვაზებს ავაშრიალებთ.

ბრწყინავს გეგმა დიადი
შვიდ წელიწადს სავალი.
ბრწყინავს დროშა ლენინის.
გამარჯვების ჯავარი —

კვლავაც ქარში იალებს,
ცაში შეიტყორცნება
მრავალ ახალ გამარჯვებად,
მრავალ ახალ ოცნებად.

**მურმან ლებანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პიონერი

საქართველოს ალკკ
ცენტრალური კომიტეტისა
და ვ. ი. ლენინის
სახელობის ნორჩ
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური საბავშვო
ჟურნალი

1
იანვარი
1959

გამოცემის წელი
XXXIII



## შინაარსი

| | გვ. |
|---|---|
| მ. ლებანიძე—ბრწყინავს დროშა ლენინის! (ლექსი) (გარეკანის) . . . . . . . . . | 2 |
| სამშობლოს ხვალინდელი დღე . . . . . . . | 2 |
| კ. გოგიავა — ბებიამ ხელები დამიკოცნა (მოთხრობა) . . . . . . . . . . . . . . | 7 |
| პიონერული ამბები . . . . . . . . . . | 9 |
| პიონერის კლუბი . . . . . . . . . . | 10 |
| ჯ. მუჯირი — ერეკლეს ფუთა (მოთხრობა) . | 14 |
| ფრანგული იუმორი . . . . . . . . . | 16 |
| მოსწავლეთა შემოქმედება . . . | 17 |
| ლ. ფრუიძე — ლებელი მონადირის ნაამბობი (ნარკვევი) . . . . . . . . . . . . . | 18 |
| ტექნიკის სამყაროში . . . . . . . . | 11 |
| ვ. ოდოევსკი—ქალაქი სათუთუნეში (ზღაპარი, თარგმნა ც. გამყრელიძემ) . . . | 22 |
| ც. ყარაულაშვილი—გერმანიის კულტურის ძეგლებთან (მოგზაურის ჩანაწერები) . | 26 |
| რა ვიკითხოთ . . . . . . . . . . . | 28 |
| რ. წერეთელი — მწერე[illegible] ძალა (წერილი) | 29 |
| პიონერული ამბები საზღვარგარეთიდან . . | 30 |
| მოკლედ ყველაფერზე . . . . . . . . | 31 |
| საინტერესო თემაზე . . . . . . . . | 32 |
| იუმორი . . . . . . . . | 32 |
| გასართობი . . . . . . . . (გარეკანის) | 3 |









გარეკანის პირველი და მეოთხე გვერდის მხატვრობა ეკუთვნის დ. ნოდიას. ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: დ. ნოდიას, თ. სამსონაძის, ნ. შალიკაშვილის, რ. ცუცქირიძის, ვ. ბელეცკაიას, კ. მახარაძის და გ. ფოცხიშვილის მიერ.

რედაქტორი რევაზ მარჯიანი
სარედაქციო კოლეგია: შ. ბერიანიძე, რ. ელანიძე, მ. ლებანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, რ. ქორქია, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი).

საბლიტგამი



# სამშობლოს ხვალინდელი დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

> ჩვენი სამშობლო დიდ სასიხარულო დღეებს განიცდის. გაზეთებში გამოქვეყნდა ნიკიტა სერგეის ძე ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები მომავალი შვიდწლიანი გეგმის შესახებ. სამშობლოს აღმშენებლობის, მისი ზრდისა და სიძლიერის ეს გრანდიოზული გეგმა მოიცავს ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროს, ეხმაურება ჩვენი ცხოვრების ყველა საჭირბოროტო საკითხს. ამ გეგმის ძირითადი ნაწილი შვიდ წელიწადში უნდა შესრულდეს. ასე რომ, ბევრი თქვენგანი 3 – 4 წლის შემდეგ უშუალოდ ჩაებმება ამ გეგმის შესრულებისათვის შრომაში.
>
> ჟურნალის ამ ნომრიდან ვიწყებთ საუბარს ახალი შვიდწლიანი გეგმის შესახებ.

ჩვენი ქვეყნის განვითარების ახალ, შვიდწლიან გეგმას რომ გადაავლებთ თვალს, უზარმაზარი ციფრების მიღმა, ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეს, მის ქარხნებს, ფაბრიკებს, ელექტროსადგურებს, შახტებს, პურის თვალუწვდენელ ყანებს, ადამიანის თავდადებულ შრომასა და გმირობას დაინახავთ.

მაგრამ, სანამ მომავალში დავიწყებდეთ წარმოდგენით მოგზაურობას, ურიგო არ იქნება ჩვენი ქვეყნის წარსული მოვიგონოთ, რათა კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ იმაში, თუ რა ზღაპრული თავდადება და შრომა დასჭირდათ თქვენს მამებსა და დედებს, თქვენს უფროსებს, ყველა საბჭოთა ადამიანს ამ ორმოცი წლის განმავლობაში.

თქვენ ალბათ გაგიგონიათ, რომ წინათ ჩვენს ქვეყანას მებატონეები და კაპიტალისტები მართავდნენ, მათ ეკუთვნოდათ ყველაფერი: მიწა, ტყეები, ქარხნები... მშრომელ ადამიანს კი არაფერი გააჩნდა გარდა ხაკუთარი ხელებისა; ამ ხელებით იგი შრომობდა, ხნავდა, ქვანახშირს თხრიდა, სახლებს აშენებდა, და ყველაფერ ამას მებატონეებისა და კაპიტალისტებისათვის აკეთებდა.

და აი, მაშინ, ორმოცი წლის წინ, დიდმა ლენინმა მოწინავე ადამიანებისაგან შექმნა კომუნისტური პარტია. პარტიამ დარაზმა ხალხი და რუსეთში სოციალისტური რევოლუცია მოახდინა. მჩაგვრელთა უღლისაგან გათავისუფლებულმა ხალხმა დაიწყო ახალი, ნათელი ცხოვრების შენება.

ქვეყნის აღორძინება ხუთწლიანი გეგმების მიხედვით დაიწყო და დიდი წარმატებითაც დაიწყო. შრომა ჩვენში თავისუფალი და ხალისიანი გახდა. მაგრამ რა არის შრომა?. თქვენ იტყვით: შრომა—ეს მუშაობაა. ხწორია, შრომა მართლაც მუშაობაა, მაგრამ როგორი მუშაობა? მიწის თხრა ბარითაც შეიძლება და ექსკავატორითაც. ნართის დართვა თითისტარითაც შეიძლება და დაზგითაც. მაშ, რომელი შრომაა უფრო ადვილი? მანქანით თუ ხელით. ამაზე პასუხის გაცემა თქვენც არ გაგიჭირდებათ.

ხალხის ხალისიანი შრომა ქვეყანას მალე დაეტყო. სწრაფად გაიზარდა მძიმე მრეწველობა. გაჩნდნენ ახალი მანქანები. პირველ ხუთწლედს მეორე, მესამე, მეოთხე მოჰყვა... და აი, 1958 წელს ჩვენ ყოველთვიურად უკვე იმდენ ფოლადს ვუშვებდით, რამდენსაც მეფის რუსეთი მთელი წლის განმავლობაში.

რომელი ციფრიც არ უნდა აიღოთ, თუ ღრმად ჩაუფიქრდებით, არ შეიძლება არ გაგანცვიფროთ იმის წარმოდგენამ, თუ რანი ვიყავით და რანი გავხდით. საგულისხმო მარტო ის კი არ არის, რომ ძველ რუსეთს ვაჯობეთ. ჩვენ ახლა უკან ჩამოვიტოვეთ მთელი რიგი კაპიტალისტური ქვეყნები. მარტო 1937 წლიდან 1958 წლამდე ჩვენი სამრეწველო პროდუქცია 9,5 გადიდდა, კაპიტალისტურ ქვეყნებში კი – მხოლოდ ორჯერ.

* * *

1958 წლის 12 ნოემბერს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მოიწონა ნ. ს ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები მომავალი შვიდწლიანი გეგმის შესახებ. ამ უზარმაზარი გეგმის შესახებ აუცილებლად თქვენც უნდა იცოდეთ ბავშვებო, ყველა პიონერმა, ყველა მოსწავლემ, რადგან თქვენ ხართ ქვეყნის მომავალი მშენებლები. ხოლო კარგი მშენებლები მხოლოდ მაშინ იქნებით, როდესაც კარგად გეცოდინებათ ქვეყნის მეურნეობა, გეცოდინებათ თუ როგორ უნდა განვითარდეს იგი ამ შვიდ, ათ, თხუთმეტ წელიწადში.



აი, სწორედ ამის შესახებ უნდა ვისაუბროთ დღეს. და თუ რაიმე კარგად ვერ გაიგოთ, ჰკითხეთ მშობელს, დაიხმარეთ მასწავლებელი, პიონერხელმძღვანელი.

* * *

ადამიანი ოდესღაც ყველაფერს ხელით აკეთებდა. ხერხი, ნაჯახი, ნამგალი, მახათი—განა ცოტაა მარტივი იარაღები, რომლებიც ადამიანის ხელს ეხმარებოდა.

ახლა კი ადამიანის მთავარი დამხმარე მანქანა გახდა. ამ მარტივი და მოკლე სიტყვის უკან ათასობით სხვა სიტყვა იმალება. მანქანა, ეს საბარგო ავტომობილიცაა, საქსოვი დაზგაც, ტრაქტორიც. მანქანა, ეს ექსკავატორიცაა და გემიც. მანქანა, ეს ყოვლისშემძლე იარაღია, რომელიც ადამიანის გონებამ შექმნა და გამოიყენა.

რაც უფრო მეტი მანქანები გვექნება, მით უფრო მალე და ადვილად დავაკმაყოფილებთ ჩვენი ხალხის მოთხოვნილებას პროდუქტებით, საცხოვრებელი სახლებითა და ტანსაცმელით. ამიტომ ადამიანზე ზრუნვა ყოველთვის მანქანების წარმოებით უნდა დაიწყოს.

მანქანას მძიმე მრეწველობა ქმნის. ჩვენი ქვეყანა არ იქნებოდა დიდი და ძლიერი, თუ მას თავისი მძიმე მრეწველობა არ ექნებოდა, ჩვენ იძულებული ვიქნებოდით უცხოეთში გვეყიდა ტრაქტორები, დაზგები, ავტომობილები. ახლა კი ჩვენ ყველაფერი ჩვენი გვაქვს. დაწყებული საწერი მანქანიდან და ველოსიპედიდან, დამთავრებული ატომის ყინულმჭრელითა და დედამიწის ხელოვნური თანამგზავრით.

მძიმე მრეწველობაზეა დამოკიდებული სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარება. ამიტომ, მეურნეობის განვითარების შვიდწლიან გეგმაში, მძიმე მრეწველობას უპირველესი ადგილი უჭირავს. 1965 წლისათვის მძიმე მრეწველობა თითქმის ორჯერ გაიზრდება. წელიწადში ჩვენ შევძლებთ ორასი ათასი დაზგის დამზადებას, გამოვუშვებთ 856 ათასამდე ავტომანქანას. თუ რას ნიშნავს ეს რიცხვები ადვილი წარმოსადგენია. გავყოთ ეს რიცხვი ჯერ დღეებზე, შემდეგ საათებზე და დაინახავთ, რომ იმ 45 წუთის განმავლობაში, რორომელსაც თქვენ გაკვეთილზე ატარებთ, ქვეყანა 21 დაზგასა და 87 ავტომანქანას მიიღებს. აქედან იმის გამოთვლაც კი შეიძლება, რომ სანამ ოცდაათჯერ დავთვლიდეთ, ჩვენი ქარხნების კონვეიერიდან ერთი ავტომობილი ჩამოვა.

ბევრი თქვენგანი განსაკუთრებით გატაცებულია ავტომობილებით, აინტერესებს რა ტიპის ახალი მანქანები გამოვა ჩვენს ქვეყანაში. შვიდი წლის მანძილზე ცხრა ტიპის ახალი, გაუმჯობესებული მანქანა გამოვა. მათ უფრო ძლიერი ძრავა ექნებათ, ფორმითაც ლამაზები იქნებიან.

ყოველგვარი მანქანა რკინისაგან კეთდება. რკინა კი რკინის მადნისაგან დნება. ამიტომ ბევრი მანქანის გასაკეთებლად ბევრი მადანი უნდა ამოვიღოთ. 1965 წლისათვის ყოველწლიურად რკინის მადნის მოპოვება 150—160 მილიონ ტონას მიაღწევს, ესეც რთული ციფრია. 160 მილიონი ტონა მადანი რკინიგზის ვაგონებში ჩავყაროთ და ვნახოთ რა სიგრძის მატარებელი გამოვა. თუ ვიგულისხმებთ, რომ თითო ვაგონი სიგრძით 30 მეტრია და შიგ 60 ტონა მადანი ჩადის, გამოვა, რომ მატარებელი 58 მილიონ 320 მეტრი სიგრძისა ყოფილა. ახლა ეს რიცხვი კილომეტრებში გადაიყვანეთ და დააკვირდით რუკაზე, სანამდე გასწვდება ეს მატარებელი.

თუჯის წლიური ამოღება 1965 წლისათვის 70 მილიონ ტონას მიაღწევს, ფოლადისა კი—90 მილიონს. რას ნიშნავს ეს 90 მილიონი ტონა ფოლადი? აბა, კიდევ ვცადოთ და გადავიყვანოთ ეს ციფრი რამე უფრო გასაგებ მაგალითში. ავიღოთ, მაგალითად და ამ ფოლადისაგან გავაკეთოთ ავტომობილი „მოსკვიჩი“. ყოველი მანქანა 800 კილოგრამ ფოლადს საჭიროებს, ასე რომ, 90 მილიონი ტონა ფოლადისაგან შეიძლება 112 მილიონი „მოსკვიჩის“ დამზადება.

თითოეულ საბჭოთა მოქალაქეს ნახევარ ტონამდე ფოლადი შეხვდება და ეს მიემატება იმ მარაგს, რაც წინა წლებში გვქონდა გამოდნობილი.

ყოველგვარ მანქანას სამუშაოს შესასრულებლად ძალა სჭირდება. უბრალო სალეს ჩარხს ფეხით აბრუნებენ, ქარის წისქვილს ქარი ამუშავებს, ავტომობილს კი—ბენზინის აფეთქების ძალა. ქვეყანაზე არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს თვითმოძრავი მანქანები. ყველა მანქანა. მეცნიერული ენით რომ ვთქვათ, ენერგიას მოითხოვს. ენერგიის წყარო ბევრია ქვეყანაზე. ვარდნილი წყალი, ქარი, მზის სითბო, ხე, ტორფი, ქვანახშირი, გაზი, ნავთი... უკანასკნელ წლებში ენერგიის ახალი დიდი წყარო აღმოაჩინეს—დაშლილი ატომი.

ყველაზე ხელსაყრელი და გავრცელებული ენერგია ჩვენს დროში ელექტროენერგიაა. ეს იმიტომ, რომ ელექტროენერგიისათვის შეიძლება გამოყენებული იქნას ენერგიის ყოველგვარი წყარო: ქარი, წყალი, ნავთი, ქვანახშირი. ელექტროენერგიის გამომუშავება სახელმწიფოსათვის ისევე აუცილებელი და საჭირო საქმეა, როგორც მძიმე ინდუსტრია, რადგან ვერც ერთ ახალ ქარხანას ვერ ავაშენებთ, თუ ენერგიის ახალი წყარო არ გვექნება.

ერთ უღელ ხარს მხოლოდ ერთი გუთნის გაწევა შეუძლია, გუთნის რაოდენობა რომ გავზარდოთ, ხარების რაოდენობაც უნდა გავზარდოთ. თუ ჩვენ შვიდწლედის მანძილზე თითქმის ორჯერ ვზრდით მრეწველობას, გამოდის, რომ ენერგეტიკაც ორჯერ უნდა გავზარდოთ.

ქვანახშირი დიდხანს ითვლებოდა ენერგიის ყველაზე გავრცელებულ წყაროდ. იგი დღესაც ასაზრდოებს ბევრ ელექტროსადგურს, ამუშავებს გემებს და ათბობს შენობებს, მაგრამ იგი ძვირი ჯდება. რადგან ჯერ მიწის სიღრმიდან უნდა ამოვიღოთ, მერე ღუმელებთან უნდა მივზიდოთ. ამიტომ შვიდწლედის მანძილზე ქვანახშირის ამოღება მხოლოდ 20—23 პროცენტით გაიზრდება, მაგრამ არც ეს გეგონოთ ცოტა. ეს პროცენტები ციფრებით რომ შევცვალოთ, 600 მილიონ ტონა ქვანახშირს მივიღებთ, ეს კი 20 მატარებელს დატვირთავს, რომელთაგან თითოეულის სიგრძე ათი ათასი კილომეტრი იქნება.




ქვანახშირის ღვიძლი ძმა—ნავთი მის შავ თანამოძმეზე მეტად მხურვალეა. ამასთან მისი ამოღება და გადაზიდვა ბევრად უფრო იოლია. გაიყვანე მიწისქვეშ მილი და საითაც გინდა იქით უქენი პირი შავ ოქროს: იდინებს და იდინებს დღე და ღამე, არც რკინიგზა დასჭირდება, არც ავტომობილი. 1965 წლისათვის ნავთი ორჯერ მეტი უნდა იქნეს მოპოვებული, ვიდრე 1958 წელს. შვიდწლედის უკანასკნელ წელს 240 მილიონამდე ტონა ნავთი იქნება ამოღებული. ახლა მოი-



მარჯვე ფანქარი და შეეცადე გამოიანგარიშო რა სიგრძე-ხიგანის ტბა შეიძლება დადგეს ამდენი ნავთისაგან, თუ ერთი ტონა ნავთი დაახლოებით ერთ კუბომეტრ ფართობს იკავებს.

ნავთს და ქვანახშირს ბოლო ხანებში ახალგაზრდა ძმებიც გაუჩნდა, ეს ბუნებრივი გაზია. იგიც მათსავით ღრმად მიწაშია ჩამალული, გაზსაც, როგორც ნავთს, უნარი აქვს გაჰყვეს მილებს, მისი მოპოვება შვიდწლედში ხუთჯერ გაიზრდება. 1965 წელს ჩვენი ქვეყანა 150 მილიარდ კუბომეტრ გაზს მიიღებს. გაზის მოპოვების ასეთი დიდი ზრდა იმიტომ არის განზრახული, რომ იგი ყველაზე იაფი საწვავია.

შვიდწლედის ენა — ეს ციფრების ენაა. ციფრებს კი ასე ხმამაღლა და თამამად ალბათ არასდროს ულაპარაკიათ. ჟურნალის ფურცლებზე ძნელია ყველაფრის თხრობა. კიდევ უფრო ძნელია მისი სურათებით გამოხატვა, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ ცოდნას თქვენ პიონერულ რაზმში, კლასში, ოჯახში შეავსებთ.

ალბათ გაგიგონიათ სიტყვები: „საბჭოთა ხელისუფლება პლიუს ელექტროენერგია ეს კომუნიზმია". — ეს სიტყვები დიდ ლენინს ეკუთვნის. როგორ იბრძოდა ხალხი ლენინის ამ მოწოდების შესასრულებლად? ჩვენ უკვე ვთქვით, რომ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში აშენებული ელექტროსადგურები სამ დღეში იძლევიან იმდენ ენერგიას, რამდენსაც მეფის რუსეთის სადგურები იძლეოდნენ ერთ წელიწადში. ესე იგი იქ, სადაც წინათ სამი ნათურა ენთო, ახლა 365 ნათურაა ანთებული. 1965 წელს კი ასეთი ნათურები უკვე ორჯერ მეტი — 800 იქნება.

ყველაზე იაფ ელექტროენერგიას ვარდნილი წყალი იძლევა. ჩვენ ჩავკეტეთ ათობით დიდი და ასობით პატარა მდინარე. ავაშენეთ და ვაშენებთ სადგურებს, მაგრამ ჰიდროელექტროსადგურების აშენებას დიდი დრო სჭირდება, დრო კი არ ითმენს. ჩვენს სახალხო მეურნეობას კი დიდი რაოდენობით სჭირდება ელექტროენერგია. ამიტომ, ამჯერად უფრო მიზანშეწონილია ვაშენოთ ისეთი სადგურები, რომელთა აშენებას ნაკლები დრო სჭირდება. ეს — თბოელექტროსადგურებია, ისინი ტორფზე, ქვანახშირზე და ნავთზე იმუშავებენ.

ინგლისელ მწერალს გერბერტ უელსს, როდესაც იგი წერდა წიგნს „რუსეთი წყვდიადში," ვერც კი წარმოედგინა, რომ ჩვენი ქვეყანა შუქით იქნებოდა განათებული. იგი დიდ ლენინს დიდ მეოცნებედ თვლიდა. ახლა კი კაპიტალისტურ სამყაროში ცოტაღა დარჩნენ ადამიანები, რომელთაც არ სჯერათ ჩვენი წარმატებისა, მაგრამ ასეთები მაინც არიან. და ასეთ ხალხს ჩვენ დაახლოვებით ისევე ვეტყვით, როგორც ლენინმა უთხრა უელსს: მოდით ჩვენთან შვიდი წლის შემდეგ და გასაოცარს კიდევ ბევრს ნახავთ.

* * *

მხოფლიოში არც ერთ ქვეყანას არა აქვს იმდენი მიწა, რამდენიც ჩვენ. მაშ, რატომ იყო, რომ წინათ, რევოლუციამდე, მოსახლეობა ღარიბად, ნახევრად მშიერი ცხოვრობდა? იმიტომ, რომ მიწათმოქმედება ჩამორჩენილი იყო, იმიტომ, რომ მიწისმფლობელ მებატონეს არ სურდა მანქანის შეძენა, ან რა მანქანები იყო მაშინ?! მიწას ხის გუთნით ხნავდნენ. ხელით თესავდნენ. მოწეულ ყანას ნამგლით მკიდნენ, ჰოდა, რამდენი უნდა მოემკათ ნამგლით?!

გლეხის შრომა ყველაზე მძიმე და ყველაზე დაუფასებელი იყო. გლეხის ცხოვრებაში გარდატეხა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, რაც მებატონეებსა და კულაკებს მიწა ჩამოერთვათ, სოფელს ფოლადის ცხენები — ტრაქტორები ეწვიენ, მინდორში დაუღალავი მუშები — კომბაინები გაჩდნენ.

მანქანებმა საშუალება მოგვცეს არა მარტო უკეთ და სწრაფად დავამუშაოთ მიწა, არამედ მეტიც დავამუშაოთ. მარტო უკანასკნელ წლებში ყამირი მიწების ხარჯზე სათესი მიწების ფართობი 36 მილიონი ჰექტა-



რით გაიზარდა. ეს მიწა კი ძირითადად კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის მიერ არის დამუშავებული. რამდენია 36 მილიონი ჰექტარი? კილომეტრებში გადაყვანილი იგი 360 ათას კვადრატულ კილომეტრს უდრის. თუ მოიგონებთ, რომ საქართველოს ფართობი 76 ათასი კვ. კილომეტრია. მიხვდებით, რომ პურის ყანებს ყამირ მიწებზე საქართველოს საერთო ფართობზე 4-ჯერ მეტი ტერიტორია უჭირავს. სხვა შედარებაც შეგიძლიათ გააკეთოთ და მაშინ კიდევ მეტად დარწმუნდებით, თუ რამდენი შექებისა და მიბაძვის ღირსნი არიან ის ადამიანები, რომელნიც შენზე მხოლოდ ორჯერ უფროსები თუ არიან.

პირველი ხუთწლედიდან მოყოლებული სოფლის მეურნეობაში ბევრი ახალი ხელსაწყო-იარაღი გაჩნდა. უკანასკნელ 1955—58 წლებში სოფლის მეურნეობამ მიიღო 670 ათასი ტრაქტორი. ამ შვიდწლედის მანძილზე კი ეს ციფრი ერთ მილიონამდე გაიზრდება.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინი რევოლუციის წლებში ასი ათას ტრაქტორზე ოცნებობდა, ახლა კი მილიონზეა ლაპარაკი.

არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანას არ შეუძლია ასე მოკლე ვადაში ამდენი მანქანა მისცეს სახალხო მეურნეობას.

ჩვენს ქვეყანაში 70 ათასი კოლმეურნეობა და 6 ათასი საბჭოთა მეურნეობაა. ასე რომ, ყოველი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა შვიდწლედში დაახლოებით ცამეტ ტრაქტორს მიიღებს. მილიონი ახალი ტრაქტორი მილიონ ახალ ტრაქტორისტს მოითხოვს, ხოლო, მუშაობა თუ ორ წყებად იქნა, მაშინ ორი მილიონი ახალი ტრაქტორისტი დაგვჭირდება. ახლა ამას კომბაინები და ავტომობილები მიუმატეთ! 18 წლისა რომ გახდებით, თქვენ თამამად შეძლებთ დაიკავოთ ადგილი საჭესთან. მაგრამ ამისათვის კარგია თუ ახლა, 12—13 წლის ასაკში, ისწავლით მანქანის ნაწილებს, შეიყვარებთ მას.

საქართველო ძველთაგან განთქმულია მევენახეობით, ჩვენში გავრცელებულია ასობით სხვადასხვა ჯიშის ყურძენი. ამიტომაა, რომ შვიდწლიან გეგმით მევენახეობის გაზრდა საქართველოში გათვალისწინებულია 2,2-ჯერ. ასე რომ, ვისაც მევენახეობა გიყვართ, საქმე ბევრი გექნებათ, ჩვენო პატარა მეგობრებო.

1965 წელს საქართველოს ჩაით სავსებით უნდა დააკმაყოფილოს საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება. ეს საპატიო საქმეა, ამ ამოცანის გადაწყვეტაში თქვენ დიდი წვლილი შეგიძლიათ შეიტანოთ, ბავშვებო.

1965 წელს ჩვენმა ქვეყანამ 10—12 მილიარდი ფუთი მარცვლეული უნდა მოიწიოს. რას ნიშნავს 10—12 მილიარდი ფუთი მარცვლეული? ეს მარცვლეული რომ თითოეულ საბჭოთა მცხოვრებზე, ესე იგი ორას მილიონზე გავყოთ, ყოველ ჩვენგანს 50 ფუთი მარცვლეული მოუწევს.

ყოველწლიურად ადამიანი საშუალოდ 12 ფუთ მარცვლეულს ხმარობს. სად წავა ზედმეტი მარცვლეული? იგი მეცხოველეობას მოხმარდება. მეცხოველეობა კი — ხორცი, კარაქი, მატყლი და რძეა. მსხვილფეხა საქონლის გაზრდა შვიდი წლის მანძილზე სამჯერ მეტადაა განზრახული. ესე იგი ყოველ ათ მსხვილფეხა საქონელს კიდევ 22 მიემატება. ყველას უნდა გახსოვდეთ, რომ მარცვლეულს ისეთივე მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობისათვის, როგორც ფოლადს მრეწველობისათვის.

ტყე? ეს ხომ უშუალოდ თქვენი საქმეა. შვიდ წელიწადში ჩვენს ქვეყანაში 262 მილიონი ჰექტარი ტყე გაშენდება. არ დაგავიწყდეთ, რომ ამაში თქვენი დარგული ხეებიც არის ნაგულისხმევი.

განა შეიძლება იმის მეათედის ჩამოთვლაც კი, რასაც სოფლის მეურნეობაში ითვალისწინებს შვიდწლიანი გეგმა?! აქ ისევ თქვენი იმედი გვაქვს, მეგობრებო. ნუ მოგერიდებათ, მოიწვიეთ შეკრებებზე სოფლის მეურნეობის მცოდნე ადამიანები, მშობლები, მასწავლებლები და მათთან ერთად იმსჯელეთ კონკრეტულად რა გაკეთდება თქვენს სოფელში, თქვენს რაიონში, თქვენს ქალაქში.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



# ბებიას ხელები

## დამიკოცნა

კლიმენტი ბოგიავა ნახ. ნ. შალიკაშვილისა

მდინარე ლაჭუ რუკაზე არც არის აღნიშნული, თითქოს სულაც არ არსებობდეს. მაგრამ ის ჩემს სოფელს შუაში სჭრის და ნამდვილი მდინარეა. მოაჯირიანი ხიდიც ამშვენებს. ადიდებაც იცის, წალეკვითაც იმუქრება. ერთხელ აკვანიც კი ჩამოატარა, ბიჭებს გულები დაგვისკდა, გვეგონა, ბავშვი იწვა შიგ. კანჭა პეტამ არც აცია, არც აცხელა, გადაეშვა მდინარეში და გამოუდგა აკვანს. გაბრაზდა ლაჭუ, აკვანი უფრო გააქანა. ჩვენ ნაპირ-ნაპირ მივდევდით, პეტაც არ იყო ჯაბანი. მაგარ მკლავებს ყოჩაღად იქნევდა. შემდეგ ჩაყვინთა და მუხასთან აკვნიანად თავი ამოყო. აკვანი ძველის-ძველი აღმოჩნდა. დანჯღრეული. ნაპირზე რომ გადმოაგდო. დაიშალა.

ერთ კვირაში ლაჭუ დაცხრა. დაიწმინდა, ისევ გამოჩნდა მისი ფსკერი, ზოგან ხავსიანი ლოდებით მოფენილი, ზოგან კენჭებით მოოჭვილი, ზოგან ლამიანი. ლოდებქვეშ კიბოები და ღორჯოებია შემალულ-შეყუჟული. მე და პეტა ბლომად ვიჭერთ ღორჯოს. აცმულას ბებიას რომ მივუტან, კეცზე ხრაკავს და თბილ ჭადთან მის ჭამას არაფერი ჯობია.

ბებიას თევზეული ძალიან უყვარს, ზაფხულობით რომ ჩავდივარ. დედა ყოველთვის მატანს მისთვის დოშს, ფარგას, კონსერვებს.

ამ ზაფხულსაც მივაშურე სოფელს.

მეექვსე კლასში გადავედი. ბებიას კი ისევ ბავშვი ვგონივარ. კალთაში ჩამისვა. მე არ მინდა კალთაში ჯდომა, მაგრამ რა ვქნა. ბებიას ხათრს ვერ ვუტეხავ.

— აღარა ვარ, შვილო, დავბერდი. სახლი თავზე მენგრევა, რას ფიქრობს მამაშენი?

— მამა დღე და ღამე ფიქრობს, წიგნსა სწერს, პროფესორი უნდა გამოვიდეს!

— კარგი დაგემართა, პროფესორი!... ერთი-ორი დღით ჩამოვიდეს, მისი სახლ-კარი არ არის? მოხედოს! მარტო ფულს რომ მიგზავნის, ფულით რა გავაკეთო? სოფელში ყველას თავისი საქმე აქვს. აი, ფანჯრის ალათი სულ დალპა და დაიშალა! ხედავ, ჭილობია აფარებული. ჭერიც შესაკეთებელია, სახურავიც. სოფელში კლუბს აშენებენ, ყველა ხელოსანი იქ არის დაბანდებული, ჩემთვის ვის სცალია. გარსევანს ვთხოვე, შემპირდა მოვალო, მაგრამ ერთი კვირაა ველოდები და აღარ გამოჩნდა.

ბებიას საყვედურებმა გული ამიჩვილა, ჯავრი მომივიდა.

— ბები, ისეთ წერილს მივწერ მამას, რომ ხელათ აქ გაჩნდება!



მეექვსე კლასში გადავედი, ბებიას კი ისევ ბავშვი ვგონივარ, კალთაში ჩამისვა.

— ჰა, არა, არა შვილო, წიგნის დაწერა პატარა საქმეა?! ნუ მოაცდენ!

— არა, მივწერ!—მაგიდას მივუჯექი, ფანქარი და ქაღალდი ავიღე. ბებიამ ფანქარი გამომტაცა და ალერსიანად თავში ჩამიკაკუნა.

— ნუ შეაწუხებ-თქვა!

მე კიდევ ბებიას როგორ ვაწყენინებ—ავდექი სკამიდან. აივნიდან დავინახე ჭიშკარს ვიღაც მოხუცი მოადგა. ვიფიქრე, ეს ალბათ დურგალი გარსევანია-მეთქი და მართლაც ის აღმოჩნდა.

ბებიამ გარსევანს გააცნო ჩემი თავი.

— გამარჯობა ვაჟკაცო,—მითხრა მოხუცმა და ხელი ჩამომართვა. ეჩქარებოდა. მაშინვე საქმე მოიკითხა. მაგრამ ბებიამ მაინც დააყოვნა, არაყი გამოუტანა, სუფრა გაუშალა და მერე ფანჯარა უჩვენა.

— ჯერ ეს ალათი გამიკეთე, ჩემო გარსევან, მერე, შემოდგომაზე, ჭერი და სახურავი.

— სახურავზე რა ამიტანს ბეჩა. ალათს კი გავაკეთებ!

მაგრამ ფასში ვერ მორიგდნენ, გარსევანი მეძვირე ყოფილა, თან სხვა სამუშაოზე ყოფილიყო გარიგებული და გაჯიქდა.

— ფულს კი არ ვჭრიო!—ეწყინა ბებიას.

— გახსენი სკივრი, ფულის მეტი რა გაქვს!—უთხრა გარსევანმა. შეფუცხუნდა, არაყი არ დაულევია ისე წავიდა.

— თუმანს კიდევ დაგიმატებ, თუმანს!--მიაძახა ბებიამ, მაგრამ გარსევანმა უკან არ მოიხედა.



— ახლა, იცი რა გითხრა? თუ შეელევი, მომყიდე, გინდა ფულს მოგცემ, გინდა კანფეტს.

ბებიამ არყიანი ჭიქა ბოთლში ჩაცალა, ჩურჩხელა მე მომცა და თან დაუმატა:

— ასეა უკაცო ოჯახი! სოფელს ჰგონია მამაშენი მილიონს მიგზავნის და ყველაფერს ცეცხლს უკიდებენ.

— მამა რომ გეხვეწება წამოდი ქალაქშიო?! წამოდი ბები, ყოველთვის კინოში გატარებ, თეატრშიც, ოპერაშიც, ცირკი ხომ გიყვარს, ცირკშიც წაგიყვან. წყლის მაგიერ ლიმონათს დაგალევინებ, პიტნის კამფეტიც თავსაყრელი გექნება. წამოდი, ჩემო ბები!

ბებიამ მხარზე დამითათუნა ხელი.

— ჩემი სულელი ბიჭი!—მითხრა მან,—ლიმონათისათვის ქალაქში წავიდე? მეხუთე სართულზე რა მაცხოვრებს ბიჭო! თქვენ გალიაში ცხოვრობთ, მე კი ეს სახლ-კარი და მიწა მაცოცხლებს, ქალაქში ერთ კვირაში ამომხდება სული.

გარსევანის წასვლის შემდეგ თვალი ფანჯრისაკენ გაშექცა. ძველი ალათი იქვე აივანზე იყო აყუდებული. გარსევანმა თქვა მისი შეკეთება არ შეიძლებაო. ჰო, რომ შეიძლებოდეს!...

ამ ფიქრში ვიყავი, პეტამ რომ დამიძახა, და საბანაოდ წავედით. ლაჭუ თბილი იყო. წყალი მუხლამდე მომწვდა, გემოზე ვერ ვიცურავეთ, სამაგიეროდ კიბოების სამყოფელს მივაგენით და ბლომად დავიჭირეთ.

მზე გადაიხარა, ლაჭუდან შორს, ალვისხეების კენწეროების იქით გადაეშვა. ნანადირევი გავიყავით. ჩემი წილი ხალათში გამოვხვიე და შინისაკენ გავეშურე. ხიდთან ნახირმა გადამიჭრა გზა, ძროხები ნელა მოიზლაზნებოდნენ, ძლივს გავძვერი მათ შორის. ხიდის თავში გარსევანი შემხვდა, ამხედ დამხედა. ველარ მიცნო.

— რა მიგაქვს, ბიჭო?

— არაფერი, ცოტა კიბო დავიჭირე.

— აბა, მაჩვენე!

გავხსენი ხალათი, შევატყვე თვალი ზედ დარჩა.

— ყოჩაღ! ბლომად დაგიჭერია!—ჯიბიდან ერთი ცალი კანფეტი ამოიღო და მომაწოდა,—ჯერ ეს გამომართვი.

— არა. ბიძია, გმადლობთ!

— გამომართვი. გამომართვი!

ორივე ხელით კიბოთი სავსე ხალათი მეჭირა და კანფეტი შარვლის ჯიბეში ჩამიდო.

— ახლა, იცი რა გითხრა? თუ შეელევი. მომყიდე, ძალიან მიყვარს ეს ოხერი. გინდა ფულს მოგცემ. გინდა კანფეტს, ჯიბე სავსე მაქვს. ნუ გეშინია.

— კამფეტი არ მინდა, ფულს კი ავიღებ.

— კარგი, რამდენი გინდა?

და. მე ვუთხარი სწორედ იმდენი. რამდენიც მან ფანჯრის ალათის გაკეთებაში მოითხოვა.

— უი, რას ამბობ, ბიჭო?!

— რა ვქნა, კაპიკს ვერ დავაკლებ!

— რანაირი ხართ ახლანდელი ბავშვები!—ჩაილაპარაკა მან და შემდეგ ისევ ჩაჰკრა თვალი ხალათში მოსარსხალე კიბოებს.

— კიბო კი არა, მე აქ, ლაჭუში, შენოდენა რომ ვიყავი, სამმტკავლიანი ლოქო დავიჭირე, გახარებული გავიქეცი შინ, გზაზე მღვდელი შემომხვდა და გატკიცული თუმნიანი შემაძლია. ფულის გამორთმევა ვერ გავბედე, ფეშქაშ-მეთქი ვუთხარი. შენ კი ამ უბრალო კიბოს ოქროს ფასს ადებ. მითხარი, პიონერი ხარ თუ კომკავშირელი?

— პიონერი!

— მერე, არა გრცხვენია?!

— თქვენ თვითონ არა გრცხვენიათ, ერთი უბრალო ალათის გაკეთებაში იმდენი ფული რომ მოითხოვეთ?— ეს სიტყვები ენაზე მომადგა, მაგრამ ვერ შევკადრე.

ხალათში გამოკრული კიბო უსიტყვოდ მივაწოდე. გარსევანმა გამომართვა.

— მთლად მუქთად არ მინდა, ცოდვა ხარ, გიშრომია.

შეკრულა მარცხენაში დაიჭირა, მარჯვენა ჯიბეში ჩაიყო, მაგრამ, სანამ ფულს ამოიღებდა, მე დავასწარი:

— ბიძია, ნუ წუხდებით. ფული არ მინდა. მხოლოდ ერთსა გთხოვთ. შემისრულებთ?

— მითხარი, შეგისრულებ!

— შალაშინი, ხერხი და ცული მათხოვე.

— რად გინდა?!

— ბებიაჩემს ფანჯრის ალათი უნდა შევუკეთო.

ახლა მიცნო გარსევანმა, შეწუხდა. თავზე ხელი გადამისვა.

— არა, იარაღს ვერ გათხოვებ, მაგრამ ნუ გეშინია, შაბათს მე თვითონ მოვალ და გავაკეთებ. ამ ხალათსაც მაშინ მოგიტან.

შინ მივედი. სხვა ხალათი გადავიცვი. ბებიასთვის არაფერი მითქვამს. გარსევანის იმედი არ მქონდა.

იმ ღამეს მშვიდად არ დამეძინა.

დილით სხვენზე ავედი, იქ ბაბუას ძველთაძველი იარაღი მეგულებოდა. მაგრამ ერთი შალაშინის მეტი არაფერი დამხვდა. თანაც გული მეთანაღრებოდა: ვაი თუ ვერ გავაკეთო-მეთქი. საქმეს ჯერ არ უნდა მოკიდო ხელი და, თუ მოკიდებ, კიდევაც უნდა გააკეთო. მე შემაჩერა სამიანმა — შრომის მასწავლებელმა სამიანი გამომაყოლა, მეტი არ გეკუთვნისო. სამიანი ისეთი მკვდარი ნიშანია. რომ ორიანს დიდად არ სჯობია. ამიტომ ვფიქრობდი, ვაი თუ ვერ გავაკეთო ეს, დასაწვავი ალათი და ტყუილად შევრცხვე-მეთქი. შიში გამბედაობამ გადაძალა. სქელი ფიცარი გამოვნახე. ბებიას უჩუმრად სასიმინდეში შევიპარე და დაზგა იქ გავმართე. ახალს ვინ დაეძებდა, ძველის შეკეთება გადავწყვიტე, მაგრამ ის ძველი სულ უვარგისი აღმოჩნდა. მარტო ზომისთვის გამომადგა. ჯერ ნაჯახი ვლესე, მერე...

შალაშინი, ბურღი და ხერხი პეტამ მათხოვა. ნაჯახით გამოვჩორკნე ფიცარი, შალაშინით მივასწორ-მოვასწორე, ათასჯერ გავზომ-გამოვზომე და მერე გადავჭერი. ბევრი ვიშრომე და ვიწვალე. ერთი წყება გამიფუჭდა, ზომაზე პატარა გამომივიდა... სამ დღეს მოვუნდი. განა მთელი დღე ვმუშაობდი, როცა ბებიას ეძინა, ან მეზობელთან იყო, მაშინ მქონდა დრო. ბოლოს, საქმემ პირი რომ მიჩვენა, ბებიას გავუმხილე.

ბებიამ ალათი ხელში აიღო. შეატრიალ-შემოატრიალა, ჯერ თვალს არ უჯეროდა, მერე, რომ დარწმუნდა ჩემი გაკეთებული იყო, გახარებულმა ხელზე ხელი მტაცა.

— ამ ხელებმა გააკეთა ეს? ამ ხელებმა?! — მაკოცა და მაკოცა.

ჭილობი თვითონ ჩამოხსნა. ალათი ჩამოვკიდე, ძველი მინაც ჩავსვი. ოთახში სინათლე შემოვიდა.

შაბათ დილას გარსევანი მოვიდა. ხელსაწყო-იარაღებიც მოიტანა, ლამაზად დაკეცილი ხალათიც მომაწოდა და, ფანჯრისაკენ რომ გაიხედა, გაიკვირვა:

— ბიჭოს!!!



## ეხმარებიან უფროსებს

120 პიონერული რგოლი ჩამოყალიბდა გალის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში; ამ რგოლების წევრებმა 466300 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფეს. აჩიგვარას საშუალო სკოლის პიონერმა ციალა ბაძაღუამ 1228 კილოგრამი მოკრიფა. საბერიოს საშუალო სკოლიდან ლიანა მასხულიამ — 17135, ხოლო ოქუმის საშუალო სკოლიდან მზია რიგვავამ — 1520 კილოგრამი.

. . .

მაიაკოვსკის რაიონის ეგნატე ნინოშვილის სახელობის საშუალო სკოლის პიონერები, დები — მანანა და ლია ქაშაკაშვილები 2,5 გრამ აბრეშუმის მურს უვლიდნენ და კოლმეურნეობას 15 კილოგრამი ხარისხოვანი პარკი ჩააბარეს.

. . .

თელავის რაიონის წინანდლის პიონერებმა წინანდლის საბჭოთა მეურნეობაში გაფურჩქნეს და აახვიეს 19 ჰექტარი ვენახი.

. . .

სოხუმის რაიონის კელასურის საშუალო სკოლის პიონერებმა 400 წიწილი გაზარდეს და კოლმეურნეობა „წინსვლის" მეფრინველეობის ფერმას გადასცეს.

. . .

ბურჯაანის რაიონის ველისციხელმა კოლმეურნეებმა წელს ყურძნის უხვი მოსავალი მიიღეს, იმდენი, რომ მუშახელი კრეფას ვერ აუდიოდა. ამ სოფლის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა გადაწყვიტეს, რომ უფროსებს გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მოხმარებოდნენ; სიტყვა საქმედ აქციეს — ბავშვები ყოველდღიურად 200 კილოგრამ ყურძენს კრეფდნენ.

ც. ყვიაშვილს ჯ. ჯოჯიკაშვილს, გ. ასილოვს, თ. ნარეკლიშვილს და სხვა მოსწავლეებს კოლმეურნეობის გამგეობამ კარგი მუშაობისათვის მადლობა გამოუცხადა.

. . .

მაიაკოვსკის რაიონის როხის საშუალო სკოლის პიონერებმა სკოლიდან იმ ჭალამდე, სადაც კოლმეურნეობის ყანებია, 4 კილომეტრზე შეაკეთეს სასოფლო გზა.

. . .

აბაშის რაიონის პიონერებმა 10 ჰექტარამდე გერანისა და რეჰანის პლანტაცია დაამუშავეს.

. . .

ყველასათვის ცნობილია ორჯონიკიძის რაიონის პიონერთა საქმიანობა. ისინი მონაწილეობდნენ სოფლის კეთილმოწყობასა და გამწვანებაში. ამ რაიონის ვახანის საშუალო სკოლის პიონერებმა 200 მეტრზე შეაკეთეს სასოფლო გზა.

. . .

კიცხელი პიონერები აქტიურად მონაწილეობდნენ ქარსაცავი ზონის შექმნაში.

. . .

ორჯონიკიძის I და II საშუალო სკოლის პიონერები აწყობდნენ შაბათობებს რაიონის კინოთეატრის მშენებლობაზე.

# პიონერის კლუბი



მეგობრებო, „პიონერის კლუბის“ იანვრის სხდომაზე თქვენი ტოლების—ნორჩი პიონერების მუშაობას გაეცნობით. გიამბობთ, თუ როგორ გაშალეს თბილისის რამდენიმე სკოლაში რაზმეულებმა მუშაობა. როგორ ემზადებიან პიონერები დამოუკიდებელი, პრაქტიკული ცხოვრებისათვის, ჩვენი დიადი კომუნისტური მშენებლობის უბნებზე თავიანთი წვლილის შეტანისათვის. მას შემდეგ, რაც ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის ცენტრალურმა საბჭომ პიონერთა ცოდნისა და ჩვევების სანიმუშო ნუსხა შეიმუშავა, ჩვენი დედაქალაქის პიონერები ახალ დიდ საქმიანობაში არიან ჩაბმულნი. ეხმარებიან უფროსებს, ზრუნავენ პატარებზე, ეცნობიან ჩვენი სამშობლოს წარსულს, იწრთობიან მომავლისათვის, და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი საინტერესო საქმეა ახლა გაჩაღებული თქვენს რაზმებში, რგოლებში. ამიტომაც დღის წესრიგში პირველ საკითხად დგას:

ვ მ უ შ ა ო ბ თ  პ ი ო ნ ე რ თ ა  ც ო დ ნ ი ს ა  დ ა  ჩ ვ ე ვ ე ბ ი ს  ს ა ნ ი მ უ შ ო  ნ უ ს ხ ი ს  მ ი ხ ე დ ვ ი თ!

თქვენ არაერთხელ გსმენიათ ჩვენი ნორჩი, მაგრამ უკვე სახელმოხვეჭილი მსახიობების: ნანი ჩიქვინიძის, მიხო ბორაშვილისა და ნანული სარაჯიშვილის შესახებ. „პიონერის კლუბის“ რამდენიმე წევრმა გვთხოვა მოგვეწვია ისინი დღევანდელ სხდომაზე, ვასრულებთ თქვენს თხოვნას, მეგობრებო.

მაშ, მეორე საკითხი ასეთია:

ნ ო რ ჩ ი  მ ს ა ხ ი ო ბ ე ბ ი  გ ვ ე ს ტ უ მ რ ნ ე ნ.

თბილისის ცხიმკომბინატში რომ შეიაროთ, იქ ერთ-ერთ საამქროსთან ასეთ აბრას ნახავთ: „პიონერული საამქრო“. აქ საკვირველი არაფერია; პიონერთა ცოდნისა და ჩვევების სანიმუშო ნუსხაში მესამე საფეხურის პიონერებს ასეთი რამ უწერიათ: „შენს რაზმთან ერთად დაეხმარე უფროსებს მოსავლის აღებაში, მშენებლობაში ან საზოგადოებრივი შრომის სხვა სახეებში.“ და აი, თბილისის 88-ე საშუალო სკოლის პირველრაზმელებმა გადაწყვიტეს საზოგადოებრივ შრომაში თავიანთი წვლილი შეეტანათ. სპეციალური რაზმი შექმნეს—„მუშათა რაზმი“. ხელმძღვანელად ცხიმკომბინატის ინჟინერი თენგიზ ბახტაძე მიიწვიეს და გაჩაღდა საქმე. ახლა მუშათა რაზმს ყოველდღე ნახავთ კომბინატში. ომარ ოთარაშვილი, ნუნუ გელოვანი, ნელი მელიქიძე, თენგიზ მათიაშვილი, მეგი მჭედლიშვილი და მათი მეგობრები ისე გამოიწაფნენ, რომ ცალს აღარ უდებენ კვალიფიციურ მუშებს. საამქროში მათ მიერ გაკეთებული ყუთები მაღალხარისხოვანია. კომბინატის მუშებს ძალიან უყვართ ნორჩი შეფები, მით უმეტეს, რომ თავისუფალ დროს პიონერები უფროსებს საკუთარ თვითშემოქმედებას უჩვენებენ, უწყობენ კონცერტებს.

## «მუშათა რაზმი» და მათი მეგობრები



88-ე სკოლის პიონერები აქამდეც დიდ ზრუნველობას იჩენდნენ ოქტომბრელებისადმი. ახლა კი მეორე საფეხურის პიონერებმა გააათკეცეს მათთან მეგობრობა. ნუგზარ გოდერძიშვილმა, ნოდარ ხოშტარიამ და ევგენი ყვავაძემ საკუთარი ხელით დაუმზადეს სათამაშოები პატარებს: პატარა ურემი, მარხილი, თოხი, ფიწალი და სხვა სამეურნეო ხელსაწყოები. რაზმეული ამაყობს პირველი საფეხურის პიონერებითაც. აბა, შეიარეთ მეორე სართულზე თვითმომსახურეობის კუთხეში: რა გინდა რომ აქ არ იყოს—ჯაგრისები, ნემსები, სხვადასხვა ფერის ძაფი, მაკრატლები, ღილები... ვთქვათ ღილი აგწყდათ, ან ტანსაცმელი დაგილაქავდათ, ან დაგეხათ. აი, სწორედ ამ კუთხეს უნდა მიაშუროთ. აქ ყოველთვის ტრიალებენ ბავშვები. მათ ეს საქმე უკვე კარგად ემარჯვებათ. ის კი არა, ამ კუთხისათვის თაროებიც თვითონ დაამზადეს სკოლის სახელოსნოში. აქვე დაამზადეს საკლასო ოთახისათვის საჭირო ნივთებიც: იატაკის საწმენდი ჯოხი, ფეხსაცმელისა და ტანსაცმელის დგარები, ნაგვის ყუთები. ამ საქმეში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მეოთხეკლასელებმა: დარე-

ჯან ჭინჭარაძემ, ანზორ მიქაძემ, მედეა ავეტიკოვამ, მესამეკლასელებმა: ცისანა ჭელიძემ, გიორგი გოგიშვილმა და ბესარიონ ჩახიძემ. მათმა რაზმმა ჩაატარა შეკრება: „ვინ უკეთ დაალაგებს ოთახს?“ ეს შეკრება ერთ-ერთი მოსწავლის ოჯახში ჩატარდა. რა გასაკვირია, რომ გოგონებმა უფრო მეტად გამოიჩინეს თავი. მშვენივრად აალაგეს საწოლი, გაასუფთავეს ოთახი, გარეცხეს ჭურჭელი და სუფრაც გაშალეს.

## მუშაობა სახალისო გახდა

პიონერი უნდა მეგობრობდეს საზღვარგარეთელ და დემოკრატიული ქვეყნების ბავშვებთან. თბილისის 57



სკოლის რაზმეულმა გადაწყვიტა კავშირი დაამყაროს ბულგარეთის დემოკრატიულ რესპუბლიკის ქალაქ ბურგასის პიონერებთან. IV რაზმის პიონერებმა ქ. ბურგასის პიონერებს საქართველოს ხედების ალბომი გაუგზავნეს. გაუგზავნეს ჩვენი რესპუბლიკის დროშა, პიონერული ყელსახვევები და თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი სამკერდე ნიშნებიც.

ბურგასელმა პიონერებმა საჩუქრების მიღებისას შეკრება მოაწყვეს და იგი თბილისელი და ბურგასელი პიონერების მეგობრობას მიუძღვნეს.

57-ე სკოლის III საფეხურის პიონერებმა გადაწყვიტეს ჩამოაყალიბონ შაშისა და ჭადრაკის წრეები, სადაც ჟვითონაც ისწავლიან და II და I საფეხურის პიონერებსაც შეასწავლიან თამაშის წესებს.

სკოლის მახლობლად მშვენიერი ახალი კინო-თეატრი „ყაზბეგია“ მოთავსებული. ამით ისარგებლეს II საფეხურის პიონერებმა და კინო-თეატრის დირექციას შეუთანხმდნენ, რომ ყოველ შაბათს, დილის 10 საათზე, 57-ე სკოლის პიონერებისათვის აქ საბავშვო კინო-ფილმები გადიოდეს. V და VI კლასელებმა უკვე ნახეს და განიხილეს კინოფილმი გმირ პიონერ კოტიკზე, აგრეთვე ფილმები: „თემური და მისი რაზმი“ და „ვასია ტრუბაჩოვი“. პატარებს განსაკუთრებით „ვასია ტრუბაჩოვი“ მოეწონათ.

—ახლა ბევრი ჩვენგანი ცდილობს მიბაძოს ვასია ტრუბაჩოვს, მასავით იზრუნოს სკოლისათვის, რაზმეულისათვის, ამხანაგისათვის — თქვა მერვეკლასელმა გია ნიშნიანიძემ.

## რაზმეული საქმიანობს

ყველას უყვარს თავისი სკოლა, თავისი პიონერული რაზმეული. ბევრი გულისხმიერი პიონერი სულ იმის ცდაშია და ფიქრშია, თუ ხვალ რა შემატოს თავის სკოლას, საერთო პიონერულ საქმეს, რით და როგორ დაეხმაროს თავის ამხანაგს. ეს პიონერის კარგი თვისებაა. მაგრამ იყო ხოლმე შემთხვევები, როცა პიონერები ბევრს ფიქრობდნენ და ბევრის გაკეთების სურვილით შეპყრობილნი მცირედსაც ვეღარ ახერხებდნენ.

—ასეთი პიონერები ჩვენც გვყავდა,—მორცხვად თქვა თბილისის 55-ე სკოლის VIII კლასელმა ლიანა კობახიძემ, — მაგრამ, მას შემდეგ, რაც პიონერთა ცოდნისა და ჩვევების სანიმუშო ნუსხას გავეცანით, ჩვენს რაზმეულში მუშაობა ძირიანად შეიცვალა. და მართლაც, VII—VIII კლასელები ყოველნაირად ცდილობენ გაამართლონ III საფეხურის პიონერთა სახელი. მათ უწინარეს ყოვლისა შეისწავლეს იმ ქუჩის ისტორია, რომელზედაც მათი სკოლაა გაშენებული. I და II რაზმის პიონერებს ამ საქმეში ქართული ენის მასწავლებელი ნ. წერეთელი დაეხმარათ. პატარები დიდი ცნობისმოყვარეობით უსმენდნენ მასწავლებელს, როცა იგი ი. ჭავჭავაძის პროსპექტის ისტორიას აცნობდა მათ. პიონერები სტუმრად ეწვიენ ჩვენი დედაქალაქის იმ გამოჩენილ ადამიანებს, რომლებიც ილიას პროსპექტზე ცხოვრობენ. ისინი გულთბილად მიიღო გრიბოედოვის სახელობის თეატრის გამოჩენილმა მსახიობმა ბელა ბელეცკაიამ. მან პატარებს დაწვრილებით უამბო თავისი შემოქმედებითი ცხოვრების შესახებ. პიონერები ესტუმრნენ, აგრეთვე, ცნობილ ხელოვნებათმცოდნე შალვა ამირანაშვილს.

III საფეხურის პიონერებმა ბევრი რამ გააკეთეს სკოლის პიონერული ორგანიზაციისათვის. VII კლასის მოსწავლეებმა ნინო ჩხეიძემ და ალე-



ქსი გაბუნიამ კომკავშირის 40 წლისთავთან დაკავშირებით სკოლის დერეფანში მოაწყვეს სტენდი გამოფენისათვის. ეს გამოფენა თვალნათლივ ასახავს კომკავშირის გმირულ საქმიანობას მისი არსებობის მანძილზე.

ლამაზად გამოიყურება პიონერთა ოთახის „მეგობრობის კუთხე“. აქ გამოფენილი ჩეხი და ჩინელი პიონერების მიერ გამოგზავნილი საჩუქრები და წერილები თბილისელი და საზღვარგარეთელი პიონერ-მოსწავლეების მეგობრობაზე მეტყველებს. ეს კუთხე მორთეს და ლამაზად მოაწყვეს III საფეხურის პიონერებმა ქეთევან დოლიძემ და ლიანა კობახიძემ. უფროსებს არც უმცროსები ჩამორჩებიან. I და II საფეხურის პიონერებმა კომკავშირის 40 წლისთავისათვის 6 ტონა ჯართი შეაგროვეს და სახელმწიფოს ჩააბარეს. III და IV კლასელები ესტუმრნენ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მუზეუმს და დიდი ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას გაეცნენ.

I და II საფეხურის პიონერებს ძალიან უყვართ სიმღერები. პატარები პედაგოგ ბიძინა წულაძის ხელმძღვანელობით ახლა შეუცდომლად და მოხდენილად ასრულებენ საბჭოთა კავშირის და საქართველოს ჰიმნებს.

სკოლაში I და II საფეხურების პიონერებისათვის ხშირად ეწყობა გონივრული გართობის დილა.

## უცნაური სტენდი

თბილისის მეთვრამეტე საშუალო სკოლის პიონერთა ოთახში ხელმარჯვნივ მოზრდილი სტენდია გაკრული. იგი მწვანე მუყაოს ქაღალდისაგან შეუკერავთ პიონერებს. მასზე არც ფოტოსურათებია გაკრული, არც ნახატები, იგი სულმთლად ცარიელია.

— ცარიელი სტენდი! — გავიკვირვეთ ჩვენ, მაგრამ სულ მალე შევიტყეთ ყოველივე.

სტენდზე მსხვილი ასოებით წერია „ნორჩ პიონერთა საფეხურებიდან“ ამოწერილი სიტყვები: — „უნდა იცნობდე ერთი-ორი გამოჩენილი მხატვრის შემოქმედებას, გაეცნო მის ზოგიერთ სურათს, შესძლო თხრობა, რატომ მოგწონს ეს სურათები“. სტენდზე შემდეგ უფრო მკაფიოდ დაუწერიათ: „შენ რომელ მხატვარს იცნობ?“ ახლა ყველაფერი გასაგები გახდა. ეს შეკითხვა რაზმეულის საბჭომ მისცა მეორე საფეხურის პიონერებს. ამ პიონერებმა უნდა შემოიარონ მუზეუმები და სამხატვრო გამოფენები. უნდა გადაფურცლონ ჟურნალები, გაზეთები და წიგნები, რომ გაიცნონ გამოჩენილი მხატვრები, მათი ბიოგრაფია და შემოქმედება.



რამდენიმე დღის შემდეგ რომ ვეწვიეთ ამ სკოლის პიონერთა ოთახს, მწვანე სტენდი აღარ გვეუცნაურა, რადგან იგი უკვე შევსებულიყო გამოჩენილი მხატვრების პორტრეტებით, ბიოგრაფიული ცნობებით და მათი ნამუშევრების რეპროდუქციებით. სწორედ ამ სტენდზე გამოფენილი ნამუშევრების გამო ათმა მეექვსეკლასელმა პიონერის პირად წიგნაკში „ჩათვლაც“ მიიღო: „იცნობს გამოჩენილი მხატვრის შემოქმედებას.“

## ციფრები და ფაქტები

ეგვიპტელებმა 4000 წლის წინ იცოდნენ ხეების მიწიანად გადარგვა.

ასირიელებს და აღმოსავლეთის სხვა ხალხებს ჰყავდათ ძაღლების რაზმები, რომლებიც ბრძოლებში ღებულობდნენ მონაწილეობას.

თანამედროვე მინა უმთავრეს შემთხვევაში მზადდება იმავე ქიმიური ნაერთებით, როგორითაც ამზადებდნენ შუა საუკუნეებში. საერთოდ, რაც მინას ამზადებენ უკვე 5000 წელია.

ქვის ხანის იარაღები უმთავრეს შემთხვევაში დამზადებულია მარცხენა ხელისათვის.

ყველა ბაყაყი მტაცებელია, მოზრდილები უფრო მომცროებს სჭამენ.

მეხი შეიძლება დაეცეს ერთსა და იმავე ადგილას რამდენჯერმე.

ტერმიტების მიერ აშენებული კოშკები თვით ტერმიტებზე 500-ჯერ უფრო მაღალია. ეს შეფარდება გაცილებით მეტია იმ შეფარდებაზე, რაც ცათამბჯენებსა და ადამიანებს შორისაა.

მომწამვლელი გაზი ცნობილი იყო სამხრეთ ამერიკის ინდიელთა შორის. ისინი თავდასხმების დროს სწვავდნენ წითელ წიწაკას, რაც მომწამვლელ კვამლს იძლეოდა.

გასული საუკუნის სამოციან წლებში პამიდორს მომწამვლელ ნაყოფად თვლიდნენ.

უძველესი გეოგრაფიული რუკა მიეკუთვნება 2000-წელს ჩ. წ. აღრიცხვამდე და იგი დახაზულია თიხის დაფაზე.

ეგვიპტის დიდი პირამიდა აგებულია 2 მილიონ 300 ათასი ქვისაგან.

რეფლექციის, ე. ი. ჰაერში სინათლის სხივების გარდატეხის გამო ჩრდილო და სამხრეთ პოლუსები 65 საათით უფრო დიდხანს არიან განათებული მზით წლის მანძილზე, ვიდრე ეკვატორი.

შაქარყინული გახურებისას მწარე ხდება.

თოვლის ფიფქები და წვიმის წვეთები თითქმის ყოველთვის ელექტრონით არის დამუხტული.

ელვის ძაბვა საშუალოდ 100 მილიონ ვოლტს შეადგენს.

სუფთა ყინული სუფთა წყალზე უფრო გამჭვირვალეა.

ერთი კილოგრამი ნახშირის დასაწვავად საჭიროა 12 კილოგრამი ჰაერი.

ბუზი წამში 330-ჯერ არხევს ფრთებს, ხოლო პეპელა მხოლოდ 2-ჯერ.

# ნორჩი მსახიობები

ნანი ჩიქვინიძე და მიხო ბორაშვილი ერთად გვესტუმრნენ. ისინი ყველგან ერთად დადიან და მათი მეგობრობაც სანიმუშოა. თქმა არ უნდა, რომ ამ მეგობრობას საფუძველი მაშინ ჩაეყარა, როდესაც ქართულმა კინოსტუდიამ მუშაობა დაიწყო ფილმზე: „მაგდანას ლურჯა“.

მიხოს როლისათვის თავიდანვე მიხო ბორაშვილი შეარჩიეს თურმე. კატოს როლი კი სხვა გოგონას უნდა შეესრულებია. ფილმის გადამღები ჯგუფი უკვე უფლისციხეში იყო გასული, როდესაც პატარა კატომ ნერვიულობა დაიწყო. ეტყობა, ვერ შეეგუა უცხო გარემოს. და აი, სწორედ მაშინ აღმოჩნდა ხუთი წლის გოგონა, რომელიც გაბედულად დადგა აპარატის წინ. ეს გახლდათ ნანი ჩიქვინიძე. ნანი ახლა უკვე გამოტყდა: ის კი არ ვიცოდი, რომ კინოფილმში ვმონაწილეობდი, მეგონა სურათს მიღებდნენო. ნანი მეტად დამჯერე და მგრძნობიარე აღმოჩნდა. ხომ გახსოვთ ფილმში ასეთი ადგილი: ლურჯა გზაზე დავარდა და ერთ ხანს მკვდარი ეგონათ. გადაღებისას ლურჯა რაღაც წამლით სპეციალურად დააძინეს. პატარა ნანის კი ეგონა—ლურჯა მართლა მოკვდაო, და ტირილი ამოუშვა. კიდევ ბევრი რამ გვიამბო ნანიმ და მიხომ. გვიამბეს ისიც, თუ როგორ ილებდნენ ორივე მეგობარს „სხვის შვილებში“. ზაფხულის ცხელ დღეებში დარბოდნენ ისინი თბილისის ქუჩებში. ზოგმა არც კი იცოდა, რომ კინოსურათის გადაღება მიმდინარეობდა და პატარა ნანი კინაღამ მანქანამ გაიტანა თურმე.


ელექტრონული ბიბლიოთეკა

ნანი ჩიქვინიძე და მიხო ბორაშვილი რედაქციაში ადრე მოვიდნენ. ნანულის მოლოდინში პატარა მეგობრებმა ჟურნალების თვალიერება დაიწყეს.

ნანის და მიხოს ნაამბობს სულგანაბული უგდებდა ყურს მესამე ნორჩი მსახიობი—ნანული სარაჯიშვილი. იგი 51-ე სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეა. მის თანაკლასელებს ძალიან უკვირთ, როგორ ითამაშა მან ანცი და დაუდეგარი მანანას როლი კინოფილმ „მანანაში“. ნანული ხომ ძალიან წყნარი და დინჯია თურმე ცხოვრებაში. მაგრამ ფილმის რეჟისორებს ალღომ არ უმტყუნა—ნანული სწორედ რომ ზედგამოჭრილი გამოდგა ამ როლისათვის.

ნანიმ და მიხომ ნანულის თხოვეს ემღერა „მანანას სიმღერა“. ნანულიმ გული არ დააკლო მეგობრებს და რედაქციაში მისი წკრიალა ხმა გაისმა.



გაისმა ნანულის ხმა: ეს—„მანანას სიმღერაა“, რომელსაც ფილმში თვითონ ნანული ასრულებდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. რ. ცუცქირიძისა

ჯიმშერ მუჯირი

# ერეკლეს ფარი

თელავის ქუჩა-ბანებს ცხენთა ფლოქვების თქარათქური შეეხმიანა. უმეტესად ახლად წვერულვაშაყრილი ვაჟკაცებისგან შედგებოდა ცხენოსანთა ჯგუფი. ზოგ მხედარს აბჯარი აესხა, ზოგს მხოლოდ ხმალი ან დამბაჩა მიემაგრებინა ქამარზე.

მამიყიანთ აღმართი ამოათავეს.

ვახვახიშვილების ორსართულიან, აივანგაშლილ სახლს გამოსცდნენ და ჩამოქვეითდნენ. კისერზე ისხამდნენ წყალს, პეშვით სვამდნენ. გალავანს, წყაროს ზემოდან, დედაკაცები და ბალღაუჭობა გამოეფინა.

ათას კითხვას აყრიდნენ ნამგზავრთ.

თერძის ცოლი დარო, რომელიც სახელმოხვეჭილი იყო ცნობისმოყვარეობით და ჭორიკანობის უზომო მადით — ერთ ახალგაზრდა, მზისაგან კოხტად გარუჯულ ვაჟს სავსე ხურჯინივით აეკიდა და არ ეშვებოდა:

— შარშან შემოდგომაზედაც გნახე მირონცხებულ ერეკლე მეფის ლაშქარში, არა?

— არა, დედი, თელავს პირველად გეახელი და ლაშქრადაც პირველადა ვარ.

— სადაური ხარ და ვისი ხარ?

— შილდელი გახლავარ, ბონდერ ქიტესას ბიჭი, ფირუზა მქვიან.

— უი ქა! აკი ვთქვი მეცნობი-მეთქი, ბონდერ ქიტესა ნამდვილად რო გამიგონია. ეხლა საომრად ემზადებით?

— არა! მეფისწული ლევანი რუსულ ყაიდაზე ადგენს ლაშქარსა და ჩვენებურებიც გვიხმეს.

ამასობაში თითქმის ყველა მოლაშქრე ბატონის ციხის ჭიშკართან შეიყარა. კიდევ დააღო პირი დარომ ახალი შეკითხვისათვის, მაგრამ ქიტესას ბიჭმა ფირუზამ ერთი გაუღიმა და ხელიდან დაუსხლტა. ლაპარაკს მოწყურებული ქალი აიმრიზა და თავისთვის ჩაიბუტბუტა:

— ვიჰ, ქა, ვერაფერი შევიტყვე-რა, ნეტა რა მიარბენინებს!

* * *

მოლაშქრეებმა ბატონის ციხის ეზოში, მწვანე მოლზე დაიგდეს ბინა. გვიან საღამოს აქა-იქ ცეცხლის კოცონები აგუზგუზდა. მთვარის შუქზე უზარმაზარი კაკლებისა და ჭადრების ჩრდილები ბალახზე გაწოლილიყვნენ. მთელი დღის ნამგზავრებს ახლა მიეცათ საშუალება მუხლი ჩაეკეცათ და დაესვენათ, გაშლილ ეზოში პატარ-პატარა ჯგუფებად გაფანტულიყვნენ. ზოგან ცხელი ბაასი იყო გაჩაღებული, ზოგან კახური, გაბმული სიმღერები წამოეწყოთ. ფირუზა იმ ჯგუფს შეეკედლა, რომელიც კელაპტრიანთ დათას მონაყოლს ხარბად ისმენდა. თუმცა საღამო მეტად თბილი იყო და კოცონები მხოლოდ ვახშმის სამზადისისათვის იყო საჭირო, დათას, თითქოს სცივაო, კოცონისაკენ მიეფიცხებინა სახე. თვალები ნაკვერცხლებივით ანთებოდა და მადიანად ყვებოდა:

— იმ დღიდან, რა დღიდანაც თოფი ხელში ავიღე, ოციოდე წელი გავიდა. ჩვენს მეფეს ყველაზე ახალგაზრდა მე ვახლდი, თვითონაც ხომ ჯერ ბალღი იყო, პატარა კახიც სწორედ მაშინ დაარქვეს. ჰოდა, თუმცა მეც ბალღი ვიყავ-მეთქი, მაგრამ ნათელმოსილ მეფე ერეკლეს მგლის მუხლი, შვლის სიმარდე, არწივის თვალი და მდევის მკლავი მეც ისეთ ძალას მაძლევდა, რომ ომში თავს არა ვზოგავდი და გმირად ვიქცეოდი ხოლმე. ერთ ბრძოლაში მეფეს ჩემთვის თვალი მოეკრა და მოვწონებოდი. თავისთან მიხმო, ხმალი მიბოძა, თანაც მითხრა — ღმერთმა მამულს შენისთანა ვაჟკაცები უმრავლოსო.

დათამ ვერცხლის ზარნიშიანი ხმალი ცეცხლის შუქზე ქარქაშიდან ამოიღო და მუხლებზე დაიდო. ოცნებაში წასული ვაჟკაცები კარგა ხანს დაჰყურებდნენ ძვირფას ძღვენსა და, სანამ სათითაოდ ხელში არ მოშინჯავდნენ, იქაურობას ვერა სცილდებოდნენ. თუმცა ყველა დაიფანტა, მაგრამ ფირუზა ისევ ისე შორიახლოს იდგა. ხან დათას შესცქეროდა, ხანაც ერეკლეს ნაქონ ხმალს.

მწვანეზე თათრულად მოკეცილმა დათამ უბიდან ფუთა ამოიღო. გაშალა. ძაფის გორგალიდან ნემსი გამოაძრო, ძაფი ააგო და ჩოხის ჩამორღვეულ სახელოს ამოკემსვას შეუდგა. ფირუზას, დათას ხელში ნემსი რომ დაუნახა, გაეღიმა და თავისთვის ჩაიბუტბუტა:

— ჰაი! ტა, ტა, ტა, აქაო და მეფემ ხმალი უბოძა, მე მართლა ვაჟკაცი მეგონა, ეს კი ნემსის ხმარებაში დაოსტატებულა. აფსუს, ერეკლეს ხმალო, ბედმა ვის გარგუნა?!

* * *

რამდენიმე დღე არც კი იყო გასული, რომ ალავერდის ტაძრის მხარეს კოშკიდან შავი კვამლი ავარდა, რაც მტრის შემოსევას ნიშნავდა.

ლაშქარი ელვის სისწრაფით შეიკრიბა. იცოდა მეფემ, რომ დიდი ჯარი არსად შემოხვდებოდა. რადგან საომრად არც შირვანსა და განჯაში, არც სპარსეთში არ ემზადებოდნენ. ლეკთა თარეში იყო მოსალოდნელი. გზაში შეხვედრილმა ალავერდის ეპისკოპოზის შიკრიკმა სწორედ ასევე მოახსენა — ლეკები ალვანს დასცემიანო.

ლეკები ჯერ სოფელს ვერც კი შესეოდნენ, რადგან თუშებმა გულღიად არ მიიღეს, და ამ დროს მეფე ერეკლეს ლაშქარიც ორი მხრიდან დაატყდა მტერს. უიღბლო გამოდგა ყაჩაღთა მორიგი თარეში. მათმა სისხლმა ალვანის მიდამოების მიწა გააპოხიერა და ალაზნის წყალი წითლად შეფერა. ამბის წამღებიც აღარავინ დარჩა უმამაკაცოდ დარჩენილ აულებში.

გამარჯვებულები მალევე დაბრუნდნენ უკან. გულგულის ბოლოს მეფემ შესვენება ბრძანა. წესად ჰქონდა ერეკლეს, ბრძოლის შემდეგ ლაშქარს შეასვენებდა, წესრიგში მოიყვანდა და შემდეგ დაბრუნდებოდა ხოლმე თელავს.

ფირუზა ახლადნაწრთობი ფოლადივით გოროზად იყურებოდა აქეთ-იქით. ზოგიერთი ახალგაზრდა მახვილ სიტყვასაც ესროდა: მაგას ომი ყანის მკა ხომ არ ეგონა, თურმე სისხლის ღვრა არ მოსწონებიაო.

— ეჰ! — ამოიოხრა მოხუცმა ნიკამ, — ომებში დავბერდი, მაგრამ შინ ქათმის დაკვლაც კი მიძნელდება ხოლმე, აქ კი ადამიანის შვილებს გამოვფატრავთ და თივის ზვი-



ფირუზა წელში გამართული იჯდა ცხენზე, — ხელი მაგრად ჩაევლო მეფის ნაბოძებ ფუთისათვის.

ნებივით დავაწყობთ ხოლმე. გაჭირვება და შიში მალომებს — ურჯულომ ჩემი დასამარხი მიწა არ წამართვასმეთქი.

ზოგი ნიკასავით მოწყენით საუბრობდა, ზოგი კი ენას წყალს არ უშრობდა.

ფირუზა გაშორდა მოსაუბრეებს და ლაშქრის შუაგულისაკენ გასწია. იქ, მწვანე მდელოზე, დიდ ლოდზე, ფარდაგი დაეფინათ და მეფე ზედ დაბრძანებულიყო. ფირუზას უნდოდა კიდევ ერთხელ დაენახა გმირი მეფე; რაც შეეძლო ახლოს მიიწევდა და მოხერხებულ ადგილს ეძებდა.

მეფემ რაღაც ბარათის წერა მოათავა და ქამრიდან პატარა ფუთა ჩამოიხსნა. გაშალა, ნემსი ამოიღო, ძაფი აება და შემოხეული კაბის კალთის დაკერებას შეუდგა. ხანდახან თვალს შეასვენებდა, ზევით აიხედავდა ხოლმე. უცებ თვალი შეასწრო — ხარბად უმზერდა შორიდან ფირუზა. თავისთან იხმო. შეათვალიერა გაოცებული ყმაწვილი და ჰკითხა:

— შვილო, გატყობ რაღაც საგონებელს მისცემიხარ, თქმით კი ვერაფერი გითქვამს...

— ყველაფერს ვიფიქრებდი, მეფეო, — დაიწყო ბორძიკით ფირუზამ, — მაგრამ თქვენს ხელში ნემსს თუ დავინახავდი, ეგ აღარ მეგონა.

ერეკლემ გაიღიმა.

— განა ვაჟკაცს შვენის შინ შემოხეული ტანსაცმლით დაბრუნება?! ჩემს ლაშქარში ასეთი ფუთა ბევრსა აქვს, ჩემგან გადაიღეს. ვინ იცის, როდის დამჭირდება. აი, ეს — თურმანიძის მალამო... — მიუთითა ფოთოლში გახვეულ თურმანიძის მალამოზე, — შაბის ნატეხი, ტალკვესი, თხის ქონი... ნემსი და ძაფი ხომ აუცილებელია მხედრისთვისა...

მეფე კერვას მორჩა, ხმალი გააშიშვლა, ტილოთი გაასუფთავა, ქონი გადაუსვა.

— ვაჟკაცმა ნემსის ხმარებაც ვაჟკაცურად უნდა იცოდეს! — ერეკლემ ყველაფერი ისევ ფუთაში გაახვია და ფირუზას გაუწოდა. — აჰა! მიბოძებია, ჭაბუკო!

* * *

როდესაც ლაშქარი მაწანწრის ქუჩებით ბატონის ციხისაკენ მიემართებოდა, მთელ თელავს უკვე გაეგო ნაომარი ჯარის დაბრუნება და ხალხი ქუჩებში გამოფენილიყო. ყვიროდნენ — გმირ მეფეს გაუმარჯოს! ვაშა ქართველ მეომრებსო! - ძლივს მიარღვევდნენ მოლაშქრეები ხალხის ზღვას.

ფირუზა წელში გამართული იჯდა ცხენზე. ხელი მაგრად ჩაევლო მეფის ნაბოძებ ფუთასათვის, რომელიც ქამარზე ჰქონდა მიმაგრებული. ეგონა ვაჟკაცს, რომ მისი სიხარული მთელ ქალაქს მოსდებოდა. ეგონა, რომ ყველა ხედავდა ძვირფას ძღვენს — ერეკლეს ფუთას; მიდიოდა თვალებმინათებული და გონებაში ათასჯერ იმეორებდა მეფის ნათქვამს:

— ვაჟკაცმა ნემსის ხმარებაც ვაჟკაცურად უნდა იცოდესო!

## ალექსანდრე დიუმას სოკო

ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა გერმანიაში მოგზაურობისას ყოველ წუთს უხერხულობას აწყდებოდა, ვინაიდან გერმანულად არც ერთი სიტყვა არ იცოდა.

ერთხელ იგი ერთ-ერთ პატარა გერმანულ სოფელში ჩავიდა, სოფლის დუქანში შევიდა და საუზმე მოითხოვა. მწერალს ძალიან უნდოდა მოხრაკული სოკო ეჭამა, მაგრამ როგორ გაეგებინებინა გერმანელი მასპინძლისათვის, არ იცოდა.

უეცრად თავში ბრწყინვალე აზრმა გაუელვა: ქაღალდის ნაგლეჯზე სოკო დახატა და ნახატი დუქნის პატრონს დაანახვა.

ამ უკანასკნელმა ნახატის ნახვაზე ისეთი სახე მიიღო, თითქოს ყველაფერს მიხვდაო და სწრაფად გავიდა ოთახიდან.

ალექსანდრე დიუმა წინასწარ ტკბებოდა გემრიელ სოკოს მოლოდინში. უეცრად კარი გაიღო და ოთახში საზეიმო გამომეტყველებით შემოვიდა დუქნის პატრონი; რომელსაც ხელში სოკო კი არა, გახსნილი ქოლგა ეჭირა.

## ყასაბი და ადვოკატი

ერთ-ერთ აყასბოს წინ მოხეტიალე ძაღლმა კაუჭზე დაკიდებულ ხარის ხორცს სტაცა პირი და გაიქცა. ყასაბმა კარგად იცოდა, რომ ის ძაღლი მის მეზობლად მცხოვრებ ადვოკატს ეკუთვნოდა. საჩქაროდ წავიდა ამ უკანასკნელთან და მიმართა:

— ბატონო ადვოკატო, მე მოვედი თქვენთან, რათა ერთი პატარა რჩევა გთხოვოთ: მაწანწალა ძაღლმა ჩემი დუქნიდან ხორცის ნაჭერი მოიტაცა — მაქვს თუ არა უფლება პატრონს მოვთხოვო ხორცის საფასური?

— რა თქმა უნდა, — უპასუხა სამართლის კაცმა, რომელსაც არც კი წარმოედგინა, რომ სწორედ მისი ძაღლი იყო ხსენებული ქურდი.

— მაშ, იცოდეთ, ბატონო ადვოკატო, რომ ქურდობა სწორედ თქვენმა ძაღლმა ჩაიდინა. ხორცის ნაჭერი სამ ლივრს იწონიდა. თქვენ მე ოთხი ფრანკი უნდა გადამიხადოთ.

ადვოკატმა იმ წუთშივე გადიხადა ფული და მეტად კმაყოფილი ყასაბი შინ დაბრუნდა. 15 წუთის შემდეგ ყასაბმა მიიღო ასეთი შინაარსის უწყება: „ბატონმა ყასაბმა უნდა გადაუხადოს ბატონ ადვოკატს თანხა რჩევისათვის 10 ფრანკის რაოდენობით".

ფრანგულიდან თარგმნა ლ. კაკაბაძემ

# მოსწავლეთა

## შემოქმედება



შ. მუხაშავრია—ძიმითის საშ. სკოლის მოსწავლე.

7724



ა. თევზაძე—ქუთაისის პიონერთა სახლი.

### ლენინის დროშა

ასე ლაღად რომ ფრიალებს
და ანათებს არე-მარეს,
ეს მშვიდობის დროშა არის,
დროშა წითლად მოელვარე.

ეს ლენინის დროშა არის,
დროშით გვიძღვის წინ პარტია,
მის ელვარე წითელ ქსოვილს
ჩვენი ლერბი ახატია.

ლევან ბრეგაძე,
ტყიბულის მე-2 საშუალო სკოლის
მე-5 კლასის მოსწავლე.

### პატარა გია

გადაჯდება ჯოხის ცხენზე
ეს პატარა გია,
უკან არც კი იხედება,
მიჰქრის, როგორც ტყვია.

მეგობრები ძლიერ უყვარს,
ყველას ათამაშებს,
როცა დიდი გაიზრდება
მოახტება რაშებს.

ეთერი გაფრინდაშვილი.
ჭიათურის მე-2 საშუალო სკოლის
მე-7 კლასის მოსწავლე.



ა. ჭელიძე — ქუთაისის პირველი საშ. სკოლის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ლაბადი მონადირის ნაამბობი

ლევან ფრუიძე

ნახ. ვ. ბელეცკაიასი

ძნელი ყოფილა სიბერე, თვალი აღარ მიჭრის და მუხლი. გავხედავ შოდა-კედელას, გული გამიწევს მის ქარაფებზე სანავარდოდ. მაგრამ ძალა აღარ მომდევს ძველებურად. სხეული ბერდება, უძლურდება, გული კი რჩება ახალგაზრდული. ჯეელობაში ბევრჯერ მსმენია ბერი-კაცის წუწუნი, ჩივილი თვალსა და მუხლზედ. გამცინებია. ახლა მე მწვდა სიბერე ყელში, მეტი რა გზა მაქვს, ვწუწუნებ.

მთიელ კაცს ჯიხვის მუხლი, შავარდნის თვალი უნდა ჰქონდეს, ისე მონადირედ არ ივარგებს. თუ მონადირედ არ გამოდგა, მაშინ რაღა კაცი იქნება. ღებში გაიზარდო, რიონის დაბადებას უცქერდე, უცქერდე სახუნდარის, სამზირის წვერის, ბოფხითოს ჭიუხებს და მონადირე არ გახდე? ყოვლად შეუძლებელია!

ღვთისაგან დალოცვილი ადგილია ჩვენი სოფელი. კალმახით სავსე რიონი და ჩვეშურა აქ ერთდებიან. სპეტაკი თოვლით დაფარული კლდოვანი მთები გარს შემოზღუდულან. თეთრი არყები ტანკენარ ნაძვებს ჩახუტებიან. გესმის გარეული ინდაურის ქოთქოთი, დედას მოცილებული ჯიხვის ფოთრის ხავილი, გულს შეგიტოკებს ჯიხვთა წინამძღოლის საგანგაშო სტვენა, დაგაფრთხობს არჩვს დადევნებული უზარმაზარი დათვი, დაგატკბობს მთის შაშვის გალობა... მოდი და დაბერდი ასეთ ადგილზე. ეხ, რა დროს მიმტყუნა თვალმა და მუხლმა!

მეუბნები, მომიყევიო, მიამბეო ნადირობაზე. ეს ხომ ჩემი თავგადასავალია, სამოცდაათი წლის მანძილზე ნახული და განცდილი. ძნელია, შვილო, მისი თხრობა. როგორც ყინვარს წყალი არ დაელევა, ისე მონადირეს საამბობი. მესტუმრე ზამთარში, გრძელი ღამეები იცის, ჭიანურს დავუკრავ, ხან გავაცინებ, ხან კი ისე ავაკვნესებ, რომ ცრემლებს გადენ. სიმღერით გეტყვი ჩემს ნახულს, განცდილს, ახლა კი ცოტას დამჯერდი.

## ჯიხვთა ძება

ჯიხვები კლდეთა მფლობელები არიან. მათი სანავარდო მიუვალი ქარაფებია. წყნარი, უწყინარი ცხოველი ბუნებას არაჩვეულებრივი სილამაზით დაუჯილდოებია. ვისაც ოდესმე უნახავს უფსკრულის თავზე ამაყად გადმომდგარი ჯიხვი, წვრილი ჩამოქნილი ფეხებით, გამობურცული მკერდით, ძლიერი კისრით, პატარა, ნაზი თავით, გულუბრყვილო შავი თვალებით და, რაც მთავარია, უკან გადაწეული უზარმაზარი ჭდეებიანი რქებით, იტყვის, რომ იგი ბუნების სასწაულია. ამ ჭკვიან, წმიდა ცხოველს ზნეჩვეულებანიც სპეტაკი აქვს. ჯოგში პირველობისათვის ხშირად შეიბმებიან ვაცები. მათი ბრძოლის ასპარეზი ჩვეულებრივ ფრიალოთა თავებია, დიდ მანძილზე ისმის რქების ჭახანი, კლდეები ეხოთი პასუხობენ. ბრძოლა უეშმაკოა: ძალა ერკინება ძალას რაინდული პატიოსნებით. ქვევით მდგომი ჯიხვის თავის გვერდზე

გაწევა ზევიდან თავდამსხმელის უფსკრულში გადაჩეხვით დამთავრდება, მაგრამ ღალატი მათ არ იციან.

გვიან გაზაფხულზე ჩვეულებრივ ერთ ფოთრს, ხოლო იშვიათად ორს შობს დედალი. გაშრება თუ არა ახალშობილი, მაშინვე იწყებს თავისუფლად სირბილს. იგი მოუხელებელია: დედასთან ერთად ჯადოქარივით დახტის პიტალო კლდეზე. დაობლებულ პატარას მზრუნველობას არ აკლებს მთელი ჯოგი. უდედობას არ აგრძნობინებენ; დედა ჯიხვები ჰკვებავენ რძით.

ჯიხვზე ნადირობა ძნელი საქმეა. გული, უდრეკი მუხლი და მახვილი თვალია საჭირო. შესწავლილი უნდა გქონდეს სანადირო ადგილები, უნდა იცოდე ჯოგი სად არის და რა დროს ბალაბობს, ღამეს სად ათევს. გამოცდილი მონადირე ყოველთვის ზევიდან მოუვლის ჯიხვებს. ეს იმიტომ, რომ ისინი ყოველთვის ქვევიდან მოელიან საფრთხეს. საოცარი ყნოსვა აქვთ, ამიტომ ნიავის მიმართულების გათვალისწინებაა საჭირო.

ჯიხვების საყვარელი სასმელი მჟავე წყალია, ისინი ჩვეულებრივ ღამე ბალაბობენ, განთიადისას მიდიან წყალზე. ხშირად აქ მონადირეა ჩასაფრებული. თითოჯერ წყლის დალევა რამდენიმე ჯიხვად უჯდებათ. ამიტომ ეს ლექსი გამოუთქვამს ძველ ხალხს:

„კასრას გასწიეს ჯიხვებმა,
კირტიშოს ვეძა* დაშრესა,
რამდენჯელ იქ გადაველით,
მთავარი იქა დაგვრჩესა“.

კარგი მონადირე განთიადს დაასწრებს ადგომას. ნადირწმინდა ანგელოზს ჩააბარებს თავს. შემდეგ ოჩოპინტრეს შეევედრება:

„ნადირთა მწყემსო,
ნადირთა პატრონო,
უფალო ოჩოპინტრე,
სვებედნიერო, მომეცი
შენი მოწყალება.“

გულდამშვიდებული გაემართება სანადიროდ. წაიღებს რამდენიმე ტყვიას, ბევრი საჭირო არ არის – გამოცდილი მონადირე ცოტას ისვრის, მაგრამ შედეგიანად. ჯიხვს ნაზი, გემრიელი და ძალზე მარგებელი ხორცი აქვს. მისი ხორცით დანაყრებული ადამიანი ყინვაში, თოვლზე რომ დაწვეს, სიცივეს ვერ იგრძნობს. მოქნილი, მტკიცე ტყავი ქალამნებად, ტანსაცმელად, ხალთებად გამოდგება. ლამაზი რქებით უზარმაზარი ყანწები კეთდება.

მონადირემ ნადირის არჩევა უნდა იცოდეს:

„კლდემან გასძახა კლდესაო:
მონადირეა ჩვენსაო,
მსუქანი ნადირი მივცეთ,
თორემ მოგვიკლავს მჭლესაო“.

დედალი ან მოზარდი ჯიხვი რა მოსაკლავია, ვაცი კი სხვაა, იგი მსუქანი და ხორციანია.

ჩვენ, მონადირეებს, კარგი წესი გვაქვს: არა მარტო ერთმანეთს ვუზიარებთ დახოცილ ნადირს, არამედ ყვავ-ყორნებსაც ვაძლევთ პატიოსნად თავის წილს. ძველი მონადირე მოკლულ ჯიხვს ფეხებს გაუტყავებს, მუხლის ქვემოდან მოაჭრის და ყვავ-ყორნებს დაუტოვებს.

ყველა ნადირს ნადირობის თავის დრო აქვს. მაგალითად. დათვი ახალგაზაფხულზეა ძალზე მსუქანი. ხოლო ჯიხვი – აგვისტოში. ადრე მისი მოკვლა ცოდოა, ნაშენობს.

---

* ვეძა – მჟავე წყლის სახელია რაჭაში.



ჯოგში პირველობისათვის ხშირად შეიბმებიან ვაცები. მათი ბრძოლის ასპარეზი ჩვეულებრივ ფრიალოთა თავებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კლდეების ძახილი

ერთხელ გლოვინაში ვნადირობდით. რამდენიმე ჯიხვი მოვიმწყვდიეთ, ყოველმხრიდან ავუტეხეთ სროლა. საშინელი ხმა აქვს მთებში თოფს, მით უმეტეს კლდეებში. მგრგვინავი ეხო მიდამოს აზანზარებდა. ანაზდად ჩემს ცოტა ზემოთ უცნაური ფხაჭუნი მომესმა. ისე მომეჩვენა, თითქოს პატარა ნაპრალში რაღაც ჩაძვრა. სასწრაფოდ ავირბინე და სიხარულისაგან შევყვირე: ნაპრალიდან ჯიხვის ფოთრი ამოვათრიე. გახშირებულ სროლას დაებნია საცოდავი, დედაც დაჰკარგოდა. თავის გადასარჩენად ნაპრალში ცდილობდა დამალვას, მაგრამ ცუდ დროს შევასწარ თვალი, ძალზე გაიხარა ჩემმა ბიჭმა, „ნაპოვარა“ დაარქვა, გვერდიდან აღარ იშორებდა. ჯიხვი ადვილად შინაურდება, ეჩვევა ბავშვებს, ძუძუს სწოვს თხებს, ეთამაშება ლეკვებს, მაგრამ საბალახოდ, წინაპართა ჩვეულების თანახმად, ღამე გამოდის. ჩემი ბაკური და „ნაპოვარა“ ძალიან დამეგობრდნენ, სულ ერთად იყვნენ, ხოლო ღამით, როცა ბავშვს ეძინა, ფოთრი ბალახობდა. გავიდა ორი წელი. „ნაპოვარა“ დიდი ჯიხვი გახდა, რქები დაიმშვენა, ყველა თხებს ერეოდა. ბაკურს თავი მოჰქონდა ტოლებში, რომელი ყოჩიც გინდათ გამოიყვანეთო, გაიძახოდა.

ახალი გაზაფხული იყო. კვირტები დაიბურცნენ. შვინდი აყვავდა, შაშვები გალობაში ერთმანეთს გაეჯიბრნენ, დამდნარი თოვლისაგან რიონი გაგიჟდა. ერთ ღამეს საშინელმა ხმაურმა გაალვიძა სოფელი. ჩვენს პირდაპირ კლდე ჩამოინგრა. ორი კვირის განმავლობაში ისმოდა ყრუ გრუხუნი. დიდხანს, დიდხანს იდგა „ნაპოვარა“, ყურს უგდებდა ამ ხმას. ჯერ ყურადღება არ მივაქციეთ, შემდეგ დავინტერესდით. სულ გამოცვლილიყო ჩვენი ჯიხვი. თვალებში არაჩვეულებრივი ცეცხლი ჩასდგომოდა, ყურები დაეცქვიტა, ნესტოები დაჰბეროდა; გასცქეროდა კლდეებს, დროგამოშვებით შებღავლებდა ხოლმე. სასწრაფოდ ბაბუა მამუკა მოვიყვანე. მან ახედდახედა ჯიხვს და ბრძანა:

— დააბით, თორემ ამაღამ გაიქცევა. კლდეები ეძახის.

დავაბი, მაგრამ ბაკურმა დაიჟინა და აუშვა. ჩემი ნაპოვარა მე არ მიმატოვებსო — გაიძახოდა ბავშვი. ჯიხვი კვლავ მშობლიურ კლდეებს გასცქეროდა, ალერსზე რქების უხეში დაკვრით უპასუხა მეგობარს.

დილით ამაოდ ვეძებეთ... გაპარულიყო.



ჩემი ბაკური და „ნაპოვარა“ ძალიან დამეგობრდნენ.

## ჯიხვთა კამარა

ერთხელ წიფვარგაში ვნადირობდით. თორმეტიოდე ჯიხვი გადავრეკეთ ღრჯამის კლდისაკენ. ეს კლდე სულ პიტალოა, საშინლად მაღალი და ფართე. მისი ზედაპირი მინასავით გლუვია. ძირს უფსკრულში ყინვარის ჩქერი მძვინვარებს. გაგვიხარდა, იქნებ თხებივით შევიპყროთ ჯიხვებითქო. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, სასროლზეც ვერ მივუდექით. როგორც კალმახს წყალში არ ეშინია, ისე ჯიხვს კლდეში. ფრინველებივით გადაეშვნენ კლდეზე, ფეხი ვერ მოიკიდეს. მძლავრად დაჰკრეს რქები და თხუთმეტ მეტრზე მაინც გადახტა თითოეული. იმავე მოძრაობით მეორედაც ჰკრეს კამარა. დიდებული საცქერი იყო თორმეტი ჯიხვის ეს გასაოცარი შერკინება კლდესთან.

აჰა, რამდენიმე გადახტომა კიდევ და, მიიმალნენ მიუვალ ნაპრალებში.

მონადირენი ხახამშრალნი დავრჩით.

## თოვლთან ბრძოლა

გრძელი ზამთარი იცის ჩვენში. უზარმაზარ თოვლს სდებს. გაღმა არყნარი არცა ჩანს. აქაფებულ რიონს ოხშივარი ასდის. ჯიხვები გამოქვაბულებში, მშრალ ნაპრალებში არიან შეფარებულნი. პოულობენ ძეწნას, გამხმარ ბალახს. როცა საკვები შემოელევათ, ერთმანეთს ბალანზე გაჰკრავენ კბილს, ღეჭავენ, თავს იქცევენ. ზამთარში მოკლული ჯიხვის კუჭში რამდენჯერ გვიპოვია თანამოძმეთა ბალანი. როცა ძალიან გაუჭირდებათ, ადგილს გადაინაცვლებენ. დაიღლება ვაცი, დადგება, მას სხვა შეენაცვლება. მაგრამ მანძილი გრძელია, თოვლი კი დიდი. როცა ყველანი დაიღლებიან, მაშინ ხერხს მიმართავენ: უკანა ჯიხვი წინმდგომთა ზურგზე გადაიელის. ჩახტება თოვლში მიმართულების მიხედვით და ასე გრძელდება მანამ, სანამ სასურველ ადგილს არ მიაღწევენ.

ამგვარად, დიდთოვლიანობა კი არ აშინებთ ჯიხვებს.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# ტექნიკის სამყაროში



## ნავთი ნეილონში

ამასწინათ ჩვენ ვწერდით, რომ ერთმა ფრანგმა ინჟინერმა ნავთის გადასაზიდად წყალში მოტივტივე ცისტერნები გამოიგონა. ასეთ წყალში ღრმად ჩაძირულ ნავთსაცავს დიდი ღელვაც კი ვერ აზიანებს.

ეს ერთადერთი გამოგონება როდია მათ რიცხვში, რაც ძველი ნავთმზიდავი გემების შესაცვლელად კეთდება.

ღეთოეულ ტომარას 73 მეტრი სიგრძე აქვს. ისინი გემზე არიან გამობმული და წყალში ისე ცურავენ. თქვენ თვითონ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რამდენად ხელსაყრელია ნავთის ასე გადაზიდვა.

ძალზე საინტერესოა მეორე გამოგონებაც. ინჟინრებს განზრახული აქვთ ერთი მილიონი ლიტრის ტევადობის პლასტმასის უზარმაზარი რეზერვუარის ზღვის ფსკერზე მოთავსება. ასეთ მდგომარეობაში ნავთი სავსებით დაცული იქნება ცეცხლისაგან. ზღვისქვეშა რეზერვუარიდან ნავთის ამოტუმბვა არ არის საჭირო, საჭიროების შემთხვევაში ნავთი თვითონვე ამოდის ზედაპირზე, რადგან იგი წყალზე მსუბუქია.

## ბრძმედი მეცნიერული ცდებისათვის

ჩვენს სამშობლოში ბევრი გიგანტური ბრძმედია აშენებული. მათი გამოდნობილი მილიონობით ტონა თუჯი ჩვენს სახალხო მეურნეობას ხმარდება.

ახლა ქვემო-ტაგილის მეტალურგიულ კომბინატში აშენებენ ბრძმედს, რომელსაც მეცნიერები სხვადასხვა ცდებისათვის გამოიყენებენ. იგი ყველაზე პატარა ბრძმედი იქნება საბჭოთა კავშირში. მისი მოცულობა სულ რაღაც 3,5 კუბური მეტრი იქნება.



მეცნიერები და ინჟინრები ამ ბრძმედით ჩაატარებენ საინტერესო ცდებს: წინდაწინ გადაადნობენ მადანს, დააზუსტებენ ხარისხსა და მის შემადგენლობას.

## «ჩაიკა» და «მაზ-530»

ეს ორი მანქანა მომავალი შვიდწლედის ერთ-ერთი პოპულარული მარკა იქნება. „ჩაიკა" ორიგინალური ფორმის, შვიდადგილიანი მსუბუქი მანქანაა, მასში რვა ცილინდრიანი ძლიერი ძრავა დგას, რომელსაც 180 ცხენის ძალა აქვს. კარგ გზაზე მანქანა 160 კილომეტრ სიჩქარეს განავითარებს.

თუ „ჩაიკა" მნახველს თავის სილამაზით იზიდავს, 40 ტონიანმა საზარგო მანქანამ „მაზ-530"-მა არ შეიძლება ადამიანის განცვიფრება არ გამოიწვიოს. მართლაც და საოცარი მანქანაა! მასში ყველაფერი გხიბლავს თავისი ზომით: მის უზარმაზარ ძრავას 450 ცხენის ძალა აქვს. ბორბლები ადამიანზე მაღალია. ძნელი დასაჯერებელია, რომ ასეთ მანქანას ჩვეულებრივი ძალის ადამიანი მართავს, მაგრამ მძღოლს ამაში ჰიდროდინამიკური გადამცემი შველის. ამ მოწყობილობის საშუალებით მანქანის ძარა, რომელიც 40 ტონა ტვირთს იტევს, სათამაშოსავით იწევს მაღლა.

შვიდწლედის დიდ მშენებლობებს ეს მანქანა კარგ სამსახურს გაუწევს.



ვლადიმერ ოდოევსკი

ნახ. კ. მახარაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალაქი სათუთუნეში

☆

ძველათ, დიდი ხნის წინათ, ახლანდელ ქალაქ ლენინგრადში, რომელსაც მაშინ პეტერბურგი ერქვა, ცხოვრობდა ერთი კაცი, მეზღაპრე და ბავშვების დიდი მეგობარი ვლადიმერ ოდოევსკი... თვითონაც ზღაპრის კეთილ ჯადოქარს ჰგავდა ეს სათნო და ჭკვიანი ძია. ჩაჯდებოდა ბავშვებში და უამბობდა მათ სახელდახელოდ გამოგონილ ლამაზ ზღაპრებსა და თავგადასავლებს; ან თუ არა და, წიგნებში თავჩარგული მუშაობდა. ხან კი წერდა:

.....იყო და არა იყო რა...

მერე მისი პატარა ზღაპრები პირველ რუსულ საბავშვო წიგნად აიკინძა და გამოქვეყნდა სათაურით: „ირინეი პაპას ზღაპრები და მოთხრობები ბავშვებისათვის"...

ჰოდა, აი სწორედ ამ პატარა წიგნში არის ნაამბობი ერთი კარგი ზღაპარი: „ქალაქი სათუთუნეში".

☆

(ზღაპარი)

მამამ მაგიდაზე სათუთუნე დადგა.

— მოდი აქ, მიშა, რა გაჩვენო,—დაუძახა შვილს. მიშა გამგონე ბიჭი იყო. მაშინვე მიატოვა სათამაშოები და მამასთან მიირბინა. მიირბინა და, რომ იცოდეთ, რა ნახა მიშას თვალებმა! რა საუცხოო სათუთუნე! კუს ბაკნის ჭრელი სათუთუნე, მერე რა სახურავი ჰქონდა! რა არ იყო ზედ—ჭიშკრებიო, კოშკებიო, სახლი, კიდევ მეორე სახლი, მესამე, მეოთხე, უთვალავი, უზომო სახლები, თან სულ ერთი ნამცეცები და ყველა ოქროსი: ხეებიც ოქროსი იყო, მარტო ფოთლები ჰქონდა ვერცხლისა: ხეებს იქიდან კი მზე ამოდიოდა და ვარდისფერ შუქს ჰფენდა ცას.

— ეს რა ქალაქია, მამი! – ჰკითხა მიშამ მამას.

— ამ ქალაქს ძინ-ძინი ჰქვია,—უპასუხა მამამ და ზამბარას თითი დააჭირა... და უცებ—ჰოი, საკვირველებავ! საიდანღაც მუსიკის ხმა მოისმა. ნეტავ საიდან! მიშა კართან მივიდა, მეორე ოთახიდან ხომ არ მოდისო ხმა! მერე საათს მიაყურა – იქნებ საათი რეკავსო; იქითაც გაიხედა, აქეთაც, მაგიდის ქვეშაც კი გასინჯა და ბოლოს დარწმუნდა, რომ მუსიკა მართლა სათუთუნეში უკრავდა: ისევ სათუთუნესთან მივიდა და მიაჩერდა. უყურა, უყურა და დაინახა, რომ ხეებში მზემ გამოიჭყიტა, ცაზე აცურდა ნელა და ცა და პატარა ქალაქი გაანათა; სახლების ფანჯრები თვალის მომჭრელად აციმციმდნენ, კოშკების გუმბათებს სხივი შარავანდედათ შემოადგა. მზემ შუბის ტარზე აიწია, მერე გადაინაცვლა, თანდათან დასავლეთისაკენ გადაიხარა და ბოლოს მთას იქით ჩაესვენა. ქალაქში დაბნელდა, დარაბები მიიხურა, კოშკებზე სხივი ჩაქრა, მაგრამ სულ ცოტა ხნით. აგერ, ვარსკვლავი აენთო ცაზე, მერე მეორე, მერე ნამგალა მთვარემაც გამოიხედა ხეების ტოტებში და ქალაქს ისევ სინათლე მოეფინა, ფანჯრები ვერცხლისფრად აელვარდნენ და კოშკების გუმბათს მოლურჯო ნათელი დაადგა.

— მამი, ძამი, შემიშვი რა ამ ქალაქში! როგორ მინდა.

— აბა, როგორ, შვილო! სად დაეტევი!

— არაფერია, მამი, პატარა ვარ, რა! შენ შემიშვი და ნახე თუ არ დავეტევი! ისე მინდა გავიგო რა ხდება შიგ...

— არა, ჩემო კარგო, უშენოდაც ვიწროდ არიან.

— ვინა? შიგ ვინ ცხოვრობს, მამი?

— ვინა? ვინა და ზარები—და მამამ სათუთუნეს სახურავი ახადა. მიშამ დაინახა ზარები, ჩაქუჩები, ლილვი, ბორბლები და გაოცდა—რისი მაქნისი არიანო ეგ ზარები? ან ეგ ჩაქუჩები და კავიანი ლილვები?—მამა არ უხსნიდა—არ გეტყვი, შენ თვითონ დააკვირდი, იფიქრე და მიხვდიო.

— ოღონდ ამ ზამბარას ხელი არ ახლო, თორემ სულ დაიმსავრევა,—აჩვენა მამამ ზამბარა და გავიდა. დიდხანს უყურებდა მიშა სათუთუნეს, დიდხანს ფიქრობდა რატომ წკრიალებს ზარიო.

მუსიკა კი უკრავდა და უკრავდა, ოღონდ ახლა უკვე თანდათან ნელდებოდა. თითქოს თითოეულ ბგერას რაღაც ეჭიდებოდა, თითქოს რაღაც ეხლებოდა ბგერებს და ერთმანეთს აშორებდა. უცბათ მიშამ დაინახა, რომ სათუთუნეში პატარა კარი გაიღო, იქიდან ოქროსთავიანი და ფოლადისკაბიანი პატარა ბიჭუნა გამოხტა და მიშას ხელი დაუქნია.

„რას ამბობდა მამაჩემი, უშენოდაც ვიწროდ არიან ამ ქალაქშიო",—გაიფიქრა მიშამ,—არაფერიც, ეტყობა კეთილი ხალხი ცხოვრობს: ვერა ხედავთ, სტუმრად მეძახიან. სიამოვნებით, ჩემო ბატონო, გეახლებით.

ამ სიტყვებით მიშამ მიირბინა და ძალიან გაკვირვებული დარჩა, რომ კარი მთლად მისი ზომისა აღმოჩნდა. მიშა ზრდილი ბიჭი იყო და უპირველეს ყოვლისა პატარა მასპინძელს მიუბრუნდა თავაზიანად.

— ნება მიბოძეთ შევიტყო, ვისთან მაქვს პატივი ლაპარაკისა?

— ძინ-ძინ-ძინ! — აწკრიალდა უცნობი, — მე ამ ქალაქის მცხოვრები ზარა-ბიჭი ვარ. ჩვენ გავიგონეთ, როგორ ნატრობდით ჩვენთან სტუმრობას და გადავწყვიტეთ გთხოვოთ — პატივი დაგვდოთ და გვეწვიოთ. ძინ-ვინ-ძინ, ვინ-ძინ-ძინ!

მიშამ თავაზიანად დაუკრა თავი მასპინძელს: ზარა-ბიჭმა ხელი გამოსდო და წაუძღვა. მიშამ ახლა-ღა შეამჩნია, რომ თავზე ოქროსვარაყიანი ნატვიფრი ქაღალდის თაღი ეპურათ. წინ მეორე ასეთი თაღი მოჩანდა, ოღონდ უფრო პატარა, იმის წინ — მესამე, კიდევ უფრო პატარა, მერე — მეოთხე, მეხუთე, და ასე ბოლომდე: ბოლო თაღი კი ისე პატარა იყო, რომ ალბათ ზარა-ბიჭის თავიც არ გაეტეოდა შიგ.

— დიდ მადლობას მოგახსენებთ მოპატიჟებისათვის, უთხრა ბიჭს მიშამ, მაგრამ ვეჭვობ, რომ შევძლო თქვენი სტუმართმოყვარეობის გამოყენება. აქ, მართალია, თავისუფლად გავდივარ, მაგრამ იქით, შორს, აბა გახედეთ, რა დაბალი თაღებია: უნდა გამოგიტყდეთ, ჩოქვითაც ვერ გავეტევი მანდ; ის კი არა, მიკვირს, თქვენ როგორ გადიხართ...

— ძინ-ვინ-ძინ, შენ წამოდი, ნუ გეშინია, მე მომყევი, — აწკრიალდა ზარა-ბიჭი.

მიშაც გაჰყვა. მართლაც, რაც უფრო წინ მიდიოდნენ, თაღები თითქოს მაღლდებოდა, და ისინიც თავისუფლად გადიოდნენ ქვეშ, ბოლო. როცა უკანასკნელ თაღთან მივიდნენ, ზარა-ბიჭმა უკან მიახედა მიშა. მიიხედა მიშამ და რას ხედავს! ის პირველი თაღი, სადაც პირველად შედგა ფეხი სათუთუნეს კარიდან, ისეთი პატარა მოჩანდა, ისეთი დაბალი, რომ გაოცებისაგან პირი დააღო.

— ეს როგორ მოხდა! — გაკვირვებულმა ჰკითხა ზარა-ბიჭს.

— ძინ-ძინ-ძინ! — გაიცინა ბიჭმა, — შორიდან ასე გეჩვენება. გეტყობა შორს არ იყურები ხოლმე. შორს ყველაფერი პატარა ჩანს, როცა მიუახლოვდები, მაშინ კი — დიდი.

— მართალს ამბობ, — უპასუხა მიშამ, — აქამდე არ დავფიქრებულვარ ამაზე და ამიტომ დამემართა გუშინწინ ასეთი რამ: მინდოდა დამეხატა დედაჩემი; იგი იჯდა და ფორტეპიანოს უკრავდა, მამაჩემი კი მოშორებით, ოთახის კუთხეში, წიგნს კითხულობდა. მათი დახატვა მინდოდა. ბევრი ვიწვალე, მაგრამ სულ ისე გამოდიოდა, ვითომ მამა დედას გვერდით ზის და მისი სავარძელიც ფორტეპიანოსთან დგას: ისე კი მშვენივრად ვხედავდი, რომ ფორტეპიანო ჩემს გვერდითა დგას, ფანჯარასთან, მამა კი იქით, ბუხართანა ზის. დედა მეუბნებოდა, მამა პატარა უნდა დახატოო, მე კი მეგონა ხუმრობს-მეთქი. იმიტომ, რომ მამა გაცილებით დიდია დედაზე.

ახლა კი ვხედავ, რომ მართალს მეუბნებოდა, მამა პატარა უნდა დამეხატა, რომ შორს გამოსულიყო. ძალიან მადლობელი ვარ, რომ ამიხსენი, ძალიან.

ზარა-ბიჭი სიცილით კვდებოდა:

— ძინ-ძინ-ძინ, რა სასაცილო ხარ! ძინ-ვინ ძინ, რა სასაცილო ხარ! დედა და მამა ვერ დაგიხატავს! ძინ-ძინ-ძინ! ვინ-ძინ-ძინ!

მიშას ცოტა ეწყინა, რომ ზარა-ბიჭი ასე დასცინოდა, მაგრამ ძალიან თავაზიანად ჰკითხა:

— ნება მიბოძეთ, შეგეკითხოთ, რატომ აყოლებთ ყველა სიტყვას ძინ-ვინ-ძინ?

— რა ვიცი, ასეთი ჩვეულება გვაქვს. ძინ-ვინ-ძინ!

აგერ კიდევ კარები: გაიღო კარები და მიშამ ქუჩაში ამოჰყო თავი. ეს რა ქუჩა ნახა მიშას თვალებმა! ეს რა ქალაქი! ქვაფენილის მაგივრად სადაფით მოკირწყლული ქუჩებია; ცაც ჭრელია — კუს ბაკნის ცა; ცაზე კი ოქროს მზე ანთია: რომ მოუხმო, მიწაზე ჩამოვა, ხელებს დაგიკოცნის და ისევ მაღლა ავა — ცაზე მოიკალათებს.



— ამ ქალაქს ძინ-ძინი ჰქვია, — უპასუხა მამამ და ზამბარას თითი დააჭირა.

სახლები ფოლადისაა, კრიალა, ფერად-ფერადი ნიჟარების სახურავით დახურული; სახლებში კი, ყველა სახლში პატარა ზარა-ბიჭები სხედან, ოქროსთავიანი და ვერცხლისკაბიანი ზარა-ბიჭები, და ყველა ერთიმეორეზე პატარაა.

— არა, ახლა აღარ მოვტყუვდები,— თქვა მიშამ,— შორიდან მეჩვენება ასე, თორემ სულ ერთნაირი ზარებია.

— არაფერიც არ არიან ერთნაირი. ყველა რომ ერთნაირი ვიყოთ, ერთნაირი ხმაც გვექნებოდა, ერთნაირად დავიწყებდით რეკვას. მაგრამ აბა, ყური მიუგდე, რა ხმაზე ვმღერით! ეს იმიტომ, რომ სხვადასხვა ხმები გვაქვს, ვინც უფრო დიდია, ხმაც ბოხი აქვს, პატარას კი — წკრიალა. ნუთუ ესეც არ იცი?

ამასობაში მათ წკრიალით, ხტომა-ხტომით, ცეკვით გარს შემოეხვივნენ ზარა-ბიჭები.

— რა მხიარულად ცხოვრობთ! — თქვა მიშამ. ნეტავი სულ თქვენთან მამყოფა; მთელი დღე არაფერს არ აკეთებთ; არც გაკვეთილები გაქვთ მოსამზადებელი, არც მასწავლებლები გყავთ; მთელი დღე მღერით.

— ძინ-ძინ-ძინ,— ახმაურდნენ ზარები,— ესეც მხიარულებაა ვითომ! აგრე გეგონოს! არა, მიშა, აბა რა არის ჩვენი ცხოვრება! მართალია, გაკვეთილები არა გვაქვს, მაგრამ ეგ რა არის! ნეტავი გვქონდეს! მთელი ჩვენი უბედურება სწორედ ის არის, რომ არც წიგნები გვაქვს, არც სურათები, არც დედა გვყავს, არც მამა, საქმე არაფერი გვაქვს. მოდექი და ითამაშე მთელი დღე. იცი რა მოსაწყენია! ხომ კარგი ჭრელი ცა გვაქვს, ოქროს მზე და ოქროს ვ͏ეებიც, მაგრამ მაინც საცოდავები ვართ. სულ ამათ შევცქეროდით და მოგვბეზრდა; ქალაქიდან ფეხი არსად გაგვიდგამს და აბა წარმოიდგინე, რა სახალისოა მთელი დღე სათუთუნეში იჯდე გამოკეტილი, გინდაც სულ მუსიკა გესმოდეს.



პატარა კარი გაიღო. იქიდან — ოქროსთავიანი და ფოლადისკაბიანი პატარა ბიჭუნა გამოხტა.



— ძინ-ძინ, შენ წამოდი, ნუ გეშინია, მე მომყევი!— აწკრიალდა ზარა-ბიჭი. მიშაც გაჰყვა.

— მართალს ამბობთ, მართალს. მეც მემართება აგრე. როცა მეცადინეობის მერე თამაშს დავიწყებ ხოლმე, ისე მეხალისება, ისე, რომ მეტი არ შეიძლება. მაგრამ უქმე დღეს, მთელ დღეს რომ ვთამაშობ და ვთამაშობ, საღამომდე გული გამიწყალდება და რა სათამაშოც არ უნდა ავიღო, გულს ვეღარ ვაყოლებ, უხალისოდ ვისვრი ხოლმე. დიდხანს ვერ გავიგე რატომ მწყინდებოდა ასე, ახლა კი მესმის.

— მერე კიდევ სხვა უბედურება გვჭირს, ბიძიები გვყავს!

— ვინ ბიძიები?

— ვინა და ჩაქუჩები. ისეთი ბრაზიანები არიან, ისეთი, რომ... გამოეფინებიან ხოლმე ქალაქში და თავში გვიკაკუნებენ; მოზრდილებს კიდევ არა უჭირთ-რა, ნაკლებად ხვდებათ, პატარებს კი, საცოდავებს, იმდენს ურტყამენ!

მართლაც, მიშამ დაინახა, რომ ქუჩებში ვიღაც ღიპიანი, წვრილფეხიანი და გრძელცხვირა ბატონები დაბრძანდებოდნენ და ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ,— ტუკ, ტუკ, ტუკ! ტუკ, ტუკ, ტუკ! ასწი! დაჰკარ! ტუკ, ტუკ, ტუკ, ტუკ, ტუკ, ტუკ! და ისე უთაქუნებდნენ თავში ხან ერთ ზარს, ხან მეორეს, რომ მიშას სიბრალულისაგან გული კინაღამ გაუსკდა, ამ ბატონებთან მივიდა, ზრდილობიანად მიესალმა და გულუბრყვილოდ შეეკითხა, რატომ ურახუნებთ ასე უმოწყალოდ საცოდავ ბიჭებსო?

ჩაქუჩებმა პასუხად შეუტიეს: მოგვწყდი, მოგვშორდი, რა შენი საქმეა: სასახლის დარბაზში ზედამხედველია, ტრიალებს, ბზრიალებს, ამათ ცემას გვიბრძანებსო! ტუკ, ტუკ, ტუკ! ტუკ, ტუკ, ტუკ!

— ეს ზედამხედველი ვინღაა?— დაინტერესდა მიშა.

— ზედამხედველი ძალიან კეთილი კაცია, ბატონი ლილვი ჰქვია, აწკრიალდნენ ზარები,— დღედაღამ დივანზეა წამოწოლილი, იმაზე არაფერი გვეთქმის.

მიშამ ზედამხედველისაკენ გასწია. მივიდა და დაინახა, რომ ზედამხედველი მართლაც დივანზე წამოწოლილა, ხალათი აცვია და ხან ერთ გვერდზე გადაბრუნდება, ხან მეორეზე. ხალათზე კი ერთი ნამცეცი, ერთი ბეწვა რაღაც კავები და კაუჭები აბნევია: როგორც კი

ჩაქუჩს მოახელთებს სადმე, კაუჭს გამოსდებს, მერე უშვებს და ჩაქუჩიც ზარას ჩაუკაკუნებს. მიშას მიახლოვებისთანავე ზედამხედველი აბუბუნდა:

„ვინ არის, რა სულიერი, რომ აქ შემოსვლა უნდა, ვინ დამირღვია სიმშვიდე, ძილი დამიფრთხო მყუდრო?“

— მე ვარ, მიშა ვარ,—გაბედულად გასცა პასუხი მიშამ.

— მერე რა გინდა?

— მე საწყალი ზარა-ბიჭები მეცოდება, ისეთი ჭკვიანები არიან, ისეთი კეთილები, ისეთი კარგი მუსიკოსები, თქვენ კი... თქვენი ბრძანებით ჩაქუჩები სულ თავში სცემენ.

— მერე რა ჩემი საქმეა! მე აქ პატარა კაცი ვარ! აიღონ და აკაკუნონ მაგ ბიძიებმა, მე რა მენაღვლება. მე კეთილი ზედამხედველი ვარ.

დღე და ღამე აქა ვწევარ,
მძინავს დღე და ღამე,
სხვა მე არრა მენაღვლება,
გასწი, გამეცალე!

„რამდენი რამ ვისწავლე ამ ქალაქში! - გაიფიქრა მიშამ,—მე რომ მწყინს ხოლმე, რა არის სკოლის ზედამხედველი რომ თვალს არ მაცილებს, რა უნდა, დედაა ჩემი, თუ მამა—იმას რა ესაქმება ვცელქობ თუ არა-მეთქი! ახლა მესმის! აი თურმე რა ემართებათ პატარა ბიჭებს, როცა პატრონი არა ჰყავთ“. და მიშამ გზა განაგრძო. ხედავს—ოქროს კარავი დგას, მარგალიტის ფოჩი შემოვლებია, მაღლა ოქროს ფლუგერი ტრიალებს ქარის წისქვილის ფრთასავით—კარავში კი ზამბარა-დედოფალი წევს და გველივით იკლაკნება—ხან დაიგრაგნება, ხან გაიშლება და ზედამხედველს სულ გვერდში ქინჯს ურტყამს. მიშა გაოცდა...

— მოწყალეო დედოფალო,—ჰკითხა დედოფალს,— რატომ ურტყამთ ზედამხედველს მუჯლუგუნებს?

— ზიც-ზიც-ზიც, — გაჯავრდა დედოფალი,—ტუტუცო, უტვინო ბიჭო! უყურებ და ვერ კი ხედავ საქმე რაშია. ღილვს რომ არ ვურტყამდე, როგორ იტრიალებდა, რომ არ ეტრიალა, ჩაქუჩს კაუჭს ვერ გამოსდებდა, ჩაქუჩისათვის რომ კაუჭი არ გამოედვა, ჩაქუჩები კაკუნს არ დაიწყებდნენ, კაკუნი რომ არ დაეწყოთ, ზარები არ აწკრიალდებოდა, და ზარები რომ არ წკრიალებდეს, აბა მუსიკა საიდანღა იქნებოდა, ვინ გააჩენდა! ზიც-ზიც-ზიც!

მიშამ იფიქრა, ნეტავ გამაგებინა, მართალს ამბობს ზამბარა-დედოფალი თუ არაო, დაიხარა და თითი დააჭირა მას. ზამბარა გაიჭიმა, გაიშალა, ღილვი სწრაფად დატრიალდა, ჩაქუჩები ხშირად ახმაურდნენ, ზარები სულმოუთქმელად აწკრიალდნენ და ზამბარა გაწყდა. ყველაფერი მიყუჩდა, ღილვი გაჩერდა, ჩაქუჩები დადგნენ, ზარებს ხმა ჩაუწყდათ და გვერდით მიიყუჟნენ, მზე ჩამოვარდა და სახლები დაინგრა. მაშინ მიშას გაახსენდა, მამამ რომ უთხრა—ზამბარას ხელი არ ახლოო, შეეშინდა და... გამოეღვიძა.

— რა სიზმარი ნახე, მიშა?—მოესმა მამის ხმა.

დიდხანს ვერ მოვიდა გონს, ხედავდა, რომ ისევ მამის ოთახში იყო, ისევ სათუთუნე ედგა წინ, იქვე კი დედა და მამა ისხდნენ და გულიანად იცინოდნენ.

— ზარა-ბიჭი სადღაა? ან ჩაქუჩი ბიძიები? ან ზამბარა-დედოფალი? მაშ სიზმარი იყო?

— სიზმარი იყო მიშა, სიზმარი. სათუთუნის მუსიკა ნანასავით ჩაგესმა და ჩაგეძინა. გვიამბე მაინც, რა ნახე სიზმრად?

— რა იყო, იცი, მამი,—თვალების ფშვნეტით დაიწყო მიშამ,—ძალიან მინდოდა ყველაფერი გამეგო; ვიფიქრე, რატომ უკრავს-მეთქი ამ სათუთუნეში მუსიკა, ვუყურე, ვუყურე, დამაინტერესა როგორ მოძრაობდა შიგნით ყველაფერი და ის იყო გავერკვიე, რომ უცბათ სათუთუნის კარი გაიღო...

და მიშამ თავიდან ბოლომდე დალაგებით უამბო მამას თავისი სიზმარი.

— აი, ახლა კი მჯერა, რომ თითქმის ყველაფერი გაიგე,—უთხრა მამამ,—გაიგე რატომ უკრავს სათუთუნეში მუსიკა, მაგრამ კიდევ უკეთესად გაიგებ, როცა მექანიკის შესწავლას დაიწყებ.

თარგმნა **ც. გამყრელიძემ**





# გერმანიის კულტურის ძეგლებთან

13 დღე ვიმოგზაურეთ გერმანიაში და ავტობუსით თითქმის 1500 კილომეტრი გავიარეთ. ვიყავით ბერლინში, პოტსდამში, კვედლინბურგში, ეიზენახში, ზაალფელდში, ზონენბერგში, ვაიმარში, ერფურტში, ნიუნბერგში, ლაიპციგში, ჰალეში, მაისენში, დრეზდენში. ამ მოგზაურობის დროს ნახულისა და გაგონილის შესახებ მინდა გესაუბროთ, პატარა მეგობრებო.

ბერლინი. ქალაქის ნაგებობებს ომის კვალი კიდევ ატყვია. პირველ დღესვე მივდივართ სტრეპტო პარკის მავზოლეუმში და გვირგვინით ვამკობთ მეორე მსოფლიო ომში დაღუპული 6000 ოფიცრისა და ჯარისკაცის საფლავს.

ბერლინში მრავალი მუზეუმი და ძველი სასახლეა. თავისი სილამაზით გამოირჩევა პოტსდამის ფრიდრიხ მეორის სასახლე «სანსუსი», რომელიც 1745—47 წლებშია აშენებული. სანსუსის გეგმა ფრიდრიხმა მოხაზა. ამ საკითხზე უთანხმოების გამო მშენებელი არქიტექტორი კნობელსდორფი რუსეთში წავიდა და პეტერგოფში განაგრძო მოღვაწეობა. სასახლის გარშემო მდებარეობს ულამაზესი ბაღი. აქ ვაზი არ ხარობს, მაგრამ ფრიდრიხს ტერასზე, სასახლისაკენ მიმავალი კიბეების ორივე მხარეს სათბურებში მოუთავსებია ვაზის, ვაშლის და ლეღვის ხეები, ამის გამო ფრიდრიხმა მას «ჩემი ვენახი» უწოდა. ამ სასახლეში მხოლოდ ერთადერთ ქალს შეეძლო ყოფნა, ეს ფრიდრიხის გაუთხოვარი და იყო. ფრიდრიხის მეუღლესაც კი არ შეეძლო იქ შესვლა. აქ ფრიდრიხთან რამდენიმე წელს ცხოვრობდა ვოლტერი, რომელიც სადილზე ხშირად იგვიანებდა ხოლმე.





ვარტბურგი. საკონცერტო დარბაზი.

ერთხელ, დაგვიანებულ ვოლტერს თეფშზე დახვდა ფრიდრიხის წერილი—«ვოლტერი ვირი». ვოლტერმა ზედ მიუწერა—«ვოლტერი თუ ერთი ვირია, ფრიდრიხი—მეორე».

ფრიდრიხის შესანიშნავ ბიბლიოთეკაში დღესაც დაცულია 2000 ბერძნულ-ლათინური წიგნი.

ქალაქ ეიზენახში ვნახეთ იოჰან სებასტიან ბახის სახლ-მუზეუმი. აქ იგი 10 წელს ცხოვრობდა. ამ სახლ-მუზეუმში თავმოყრილია ბახის ოჯახის მუსიკალური საკრავების მდიდარი კოლექცია—280 სხვადასხვა ინსტრუმენტი.

ქალაქ ზონენბერგში ვნახეთ მდიდარი, მრავალფეროვანი თოჯინების მუზეუმი. აქ მსოფლიოს თითქმის ყველა ერის და სახელმწიფოს თოჯინებია გამოფენილი: ამერიკის შეერთებული შტატების, მექსიკის, რუსეთის, რუმინეთის, იაპონიის, ინდოეთის, ჩინეთის და სხვ. აქვეა არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი ძველი, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 7000—8000 წლით დათარიღებული თოჯინები.

ამის შემდეგ ვაიმარისაკენ გავემგზავრეთ, იგი გერმანიის ძველი კულტურის ცენტრია, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება დაკავშირებოდა ოთხი დიდი კლასიკოსის: გოეთეს, შილერის, იოჰან ბახის და ფრანც ლისტის ცხოვრებას.

გოეთე აქ 50 წელზე მეტ ხანს ცხოვრობდა (1774—1832 წწ.). გოეთესა და შილერის სახელს ატარებს ვაიმარის ნაციონალური თეატრი, რომლის დირექტორად გოეთე იყო, ხოლო რეჟისორად შილერი. ამ თეატრის წინ გოეთეს ‹ › შილერის ქანდაკება დგას. სკულპტორს ისინი თანაბარი სიმაღლისა გაუკეთებია. გოეთე და შილერი ცხოვრებაში ერთი სიმაღლისანი არ იყვნენ, მაგრამ როგორც შემოქმედნი, ისინი ერთ სიმაღლეზე დააყენა მოქანდაკემ. შილერმა 46 წელი იცხოვრა და შექმნა იმდენი ნაწარმოები, რაც გოეთემ 82 წლის განმავლობაში. გოეთე და შილერი ერთად განისვენებენ მაღალთაღოვან ხეივანში მოთავსებულ მავზოლეუმში, რომელსაც ოქროს გვირგვინები ამკობს.

აი, მათი სახლ-მუზეუმი. გოეთეს სამუშაო ოთახში არავის შეეძლო შესვლა. ოთახი სადა, ყოველგვარი მორთულობისაგან თავისუფალია და წიგნებითაა სავსე. დიდი ბიბლიოთეკა სამუშაო ატმოსფეროს უქმნიდა მუდამ ფეხზე მომუშავე პოეტს. როგორც გვითხრეს, გოეთე მხოლოდ დღისით მუშაობდა, შილერი კი მხოლოდ ღამე.

აქ, ამ ოთახში, 1832 წლის 22 მარტს დღის 10 საათზე, სავარძელში მჯდომი, გარდაიცვალა 82 წლის გოეთე.

ვაიმარიდან ექვსი კილომეტრის დაცილებით ფაშისტებს ჰქონდათ კონცლაგერი ბუხენვალდი, სადაც მეორე მსოფლიო ომის დროს წამებით დახოცილ იქნა ათასობით უდანაშაულო ადამიანი. ეს ადგილი დაცულია როგორც სამუზეუმო ძეგლი, მსოფლიოსათვის გერმანელი ფაშისტების ბოროტმოქმედების ნათელსაყოფად.

ლაიპციგი. აქ 1900, 1912, 1914 წლებში ცხოვრობდა ლენინი. 1900 წლის 11 დეკემბერს აქ დაიბეჭდა არალეგალური მარქსისტული გაზეთ «ისკრას» პირველი ნომერი. ახლა აქ მოწყობილია მუზეუმი «ისკრა».

ყოფილ უმაღლეს სასამართლოს დარბაზში 1930 წელს ფაშისტებმა მოაწყეს ბულგარელ კომუნისტ გიორგი დიმიტროვის პროვოკაციული სასამართლო პროცესი. ფაშისტები კომუნისტებს ბრალს სდებდნენ რაიხსტაგის დაწვაში. ბრალდებულმა დიმიტროვმა გმირულად დაიცვა კომუნისტური პარტია და დამნაშავედ გამოიყვანა ფაშისტები. ფირზე ჩაწერილია სასამართლო პროცესის დროს გერინგისა და დიმიტროვის სიტყვები. დარბაზში დგას ბულგარელების მიერ ნაჩუქარი დიმიტროვის ძეგლი.

ჩვენი მოგზაურობის საბოლოო პუნქტი დრეზდენი იყო,—საქსონიი'ს მეფეთა რეზიდენცია, რენესანსის დიდი ცენტრი. 1945 წლის 13 თებერვალს, ღამით, 45 წუთის განმავლობაში ინგლის-ამერიკის თვითმფრინავების მიერ დაბომბვის შედეგად აქ 45000-მდე მცხოვრები დაიღუპა. ამ დროს ქალაქში არ იყო ცოტათ თუ ბევრად მნიშვნელოვანი სამხედრო ობიექტები და დაბომბვამ ნანგრევებად აქცია დრეზდენის ისტორიული და არქიტექტურული ნაგებობანი. ქალაქის ცენტრი 15 კვადრატულ კილომეტრზე მთლიანად განადგურდა. მარტო ნანგრევების გატანა 180 მილიონი მარკა დაუჯდა გერმანელ ხალხს. ამ ადგილს ახლა მკვდარ მიწას ეძახიან.



პოტსდამი. ფრიდრიხ მეორის სასახლე.

დრეზდენში ვნახეთ ჩონჩხად ქცეული ოპერის თეატრის ოდესღაც ულამაზესი შენობა.

ყველგან, სადაც არ უნდა ვყოფილიყავით, ვხედავდით თუ რა დიდი ზარალი მიაყენეს ფაშისტებმა გერმანელ ხალხს. ახლა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები დიდი ენთუზიაზმით აღდგენენ თავის ქვეყანას და თავდადებით იბრძვიან მშვიდობისათვის.

**ც. ყარაულაშვილი**







მარცხნივ—ქალაქ კვედლინბურგის რატუშა. მარჯვნივ—ბერლინი. უნივერსიტეტის შენობა.




## მხიარული მოთხრობები

ი. სოტნიკი ცნობილი რუსი საბავშვო მწერალია. მისი მიმზიდველი და ცოცხალი ნაწარმოებები ნორჩ მკითხველებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. „საბლიტგამმა“ ქართულ ენაზე გამოსცა ი. სოტნიკის მოთხრობების კრებული, რომელშიც ჩვიდმეტი ნაწარმოებია შეტანილი.

კრებული იხსნება მოთხრობით: „მოგზაურობა ჩაეშალათ“. მეოთხეკლასელი ფედია კაპუსტინი გადაწყვეტს გაემგზავროს ჩრდილოეთში და ჩაიდინოს რაიმე საგმირო საქმე. მაგრამ ამას ვერ აღწევს. თუ რატომ, ამას მკითხველები თავად ნახავენ. მოთხრობაში ავტორი აკრიტიკებს პიონერულ ორგანიზაციას, რომელმაც თავი ვერ გაართვა მოწყენილობასა და ფორმალიზმს თავის მუშაობაში. საინტერესოა ფედიას წერილი, რომელიც მან მისწერა გაზეთის




რედაქტორს. მკითხველში ზიზღსა და სიძულვილს იწვევს ბაკლანოვი და მისი ძმა, როგორც ქურდები.

მკითხველი ბევრს იცინებს, როცა წაიკითხავს მოთხრობას „ვოვკა გრუშინის „არქიმედი“. მოთხრობაში ნაჩვენებია თუ რა მოსდევს კოლექტივიდან გათიშვას და თავის თავზე დიდ წარმოდგენას.

პიონერების პატიოსნებაზე და გულწრფელობაზეა ლაპარაკი მოთხრობაში „მწვრთნელები“. გრიშა უტოჩკინი და ოლეგ ვერშინინი გადაწყვეტენ გაწვრთნან ძაღლები. ამ საქმეში მათ უსიამოვნება შეემთხვევათ, რომელსაც გულწრფელად აღიარებენ და სათანადო ჯილდოსაც იმსახურებენ.

სლავა როზნოვი და მიშკა სნეგარევი არიან მთავარი გმირები მოთხრობისა: „კალუგა-მარსი“. მოთხრობის მოქმედება სწარმოებს დიდი სამამულო ომის წლებში. მათი სურვილი—იარაღით დაიცვან მშობლიური ქალაქი, არ ხორციელდება, თუ რატომ, ამას თავად ნახავთ მოთხრობაში.

„ძაღლებით ლაშქრობა“ ერთ-ერთი საინტერესო ნაწარმოებია კრებულში. თორმეტი წლის პეტია ზაცეპკინი და მისი მეგობრები ვალერი და პანტელეი გადაწყვეტენ ძაღლებშებმული მარხილებით მეზობელ სოფელში ლაშქრობას. მათი თავგადასავალი ღიმილს მოგვრის მკითხველებს, რამდენადაც მოუფიქრებელი და მოუმზადებელი ლაშქრობა თავიდანვე განწირულია.

კრებული მიმზიდველადაა გაფორმებული მხატვარ რ. ცუცქირიძის მიერ. წიგნი თარგმნა ვ. ძიძიგურმა.

**ალ. კოჩკაია**

## ვ. იანი—„ჩინგიზ-ხანი“

„საბლიტგამმა“ გამოსცა ვ. იანის რომანი „ჩინგიზ-ხანი“. იგი ისტორიული ლიტერატურის თვალსაჩინო ნაწარმოებია. მეცამეტე საუკუნეში მთელი აღმოსავლეთ ევროპა, ამიერკავკასია და შუა-აზია მონღოლებმა — ცენტრალური აზიის ველებში, ჩინეთის ჩრდილოეთით მცხოვრებმა მომთაბარეებმა დაიპყრეს. საზარელი იყო მონღოლთა შემოსევა. სადაც კი მათი ცხენის ფლოქვი მოხვდებოდა, სისხლის ნაკადულებს ადენდნენ, შეუბრალებლად მახვილის წვერზე აგებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. მათ დაიმორჩილეს ციმბირის ხალხები: ბურიატები, ყირგიზები და სხვები. დაიპყრეს ჩინეთი და შუა აზიაში შეიჭრნენ. შინაური არეულობით დაუძლურებულმა ხვარაზმის სამეფომ ველარ გაუძლო ველურთა შემოტევას; მონღოლებმა მიწასთან გაასწორეს ერთ დროს აყვავებული ხვარაზმი. შაჰი მუჰამედი ხვარაზმიდან გაიქცა და კასპიის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე დაასრულა სიცოცხლე. მონღოლებმა მოაოხრეს სამარყანდი, ბუხარა და სხვა ქალაქები. „მსგავსი უბედურება დედამიწას არ უნახავს არც დღისით არც ღამით, რომელიც თავს დაატყდა მთელ კაცობრიობას და განსაკუთრებით შენი ყანების მშვიდობიან მაშვრალებს, უბედურებისაგან გატანჯულო ხვარაზმო“.—მიმართავს მწერალი ცეცხლში გახვეულ, კვამლით დაბურულ ხვარაზმს..

ავტორი ამ რომანისა, ვასილ გიორგის-ძე იანი (იანჩევეცკი. დაიბ. 1875 წ. გარდ. 1954 წ.) კარგად იცნობს ამ შავბნელ ხანას. 1901 წ. მან ცხენით გადაიარა ყარაყუმის უდაბნო, მოინახულა ხივა და ბუხარა და აზიის ძველ გზებზე, სადაც ჯერ კიდევ აჩნდა ულმობელ მტარვალთა სისხლიანი ნაკვალევი, განიზრახა დაეწერა რომანი აზიის ისტორიული წარსულიდან.

„ჩინგიზ-ხანი“ ტრილოგიის „მონღოლთა შემოსევების“ პირველი წიგნია. იგი გამოქვეყნდა 1939 წელს, 1941 წელს გამოვიდა მისი გაგრძელება „ბათო-ყაენი“. 1955 წელს კი მესამე წიგნი — „უკიდურესი ზღვისაკენ“.

რომანს „ჩინგიზ-ხანს“ პირველი ხარისხის სტალინური პრემია მიენიჭა. ეს წიგნი ქართულად პირველად გამოვიდა. თარგმანი ეკუთვნის ქეთევან ნადირაძეს.

ჩვენი მოზარდი თაობა დიდი ინტერესით წაიკითხავს ამ შესანიშნავ წიგნს.

**ნ. კალანდარიშვილი**






# მწერების ძალა

ალბათ ბევრს ახსოვს სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა წიგნიდან — „სიბრძნე-სიცრუისა“, თუ როგორ დალოცა სედრაქ ვაზირმა ფინეზ მეფის ძე ჯუმბერი და უსურვა მას: „ძალი ჯინჭველისა“.

მართლაც, ვინ არ გაოცებულა ამ პაწაწინა მწერის განსაკუთრებული ღონით; ვის არ უნახავს; რა ყოჩაღად მიათრევს ხოლმე იგი მასზე შეუდარებლად უფრო დიდ ტვირთს.

მწერების ასეთი ოინები ძველთაგანვე აოცებდა და ცნობისმოყვარეობას უღვიძებდა ადამიანს. იმ-



თავითვე უნებლიედ ებადებოდათ კითხვა: რას შეძლებდნენ მწერები, სიდიდით ადამიანის ტოლნი რომ ყოფილიყვნენო?

მართლაცდა, ჭიანჭველა რომ ადამიანისოდენა ყოფილიყო, ხომ ვერ შეძლებდა ავტომანქანის წამოკიდებას? ანდა, რწყილი რომ კენგურუს ტოლი ყოფილიყო, ხომ არ გადაახტებოდა ეიფელის კოშკს?

ერთხელ, როდესაც მუშაობაში გართულ „მიწათმოქმედ“ ჭიანჭველების კოლონიას აკვირდებოდნენ, შენიშნეს, რომ ერთ-ერთმა მათგანმა სოროს ხვრელიდან კენჭი ამოიღო და გვერდზე გადაიტანა. ორივე აწონეს და აღმოჩნდა, რომ ჭიანჭველა იწონიდა 0,0028 გრამს, კენჭი კი — 0,1454 გრამს. ასე რომ ჭიანჭველას თავისთავზე 52-ჯერ უფრო მძიმე ტვირთი აეწია. ეს კი იგივეა, რომ ადამიანმა დაახლოებით 3200 კილოგრამი ასწიოს; მაშინ, როდესაც „მსოფლიოში ყველაზე ღონიერი ადამიანი“, მძიმე წონის ამერიკელი შტანგისტი — პაულ ანდერსონი ერთ აწევაზე მხოლოდ 200 კილოგრამს სწევს.

ხოჭოებიც შესანიშნავი „ძალოსნები“ არიან.

მინიატურული დინამომეტრით ჩატარებულმა ცდებმა ნათელჰყვეს, რომ 1,88 გრამის სიმძიმის ირემა-ხოჭოს შეუძლია 14 გრამის, ანუ საკუთარ წონაზე 7,5-ჯერ მეტის გაწევა-გათრევა, პროპორციულად ეს გაცილებით აღემატება ადამიანის შესაძლებლობას. ცხადია, თუ ტვირთის ქვეშ ბორბლებს მოვათავსებთ და ხახუნს შევამცირებთ, მისი გაწევა მნიშვნელოვნად გაადვილდება. როდესაც 1,88 გრამის ირემა-ხოჭო „შეაბეს“ სათამაშო ურიკაში, რომელზედაც 175 გრამი ტვირთი იყო მოთავსებული, მწერმა იგი იოლად გაათრია. ეს იგივეა, რომ ერთმა კაცმა ადვილად გაწიოს დაახლოებით ექვსტონანახევრიანი საბარგო ვაგონი. აღსანიშნავია, რომ იმავე პირობებში ფუტკარმა გასწია თავის წონაზე 300-ჯერ მეტი.

აღმოჩნდა ისიც, რომ მოზრდილ ხოჭოს შეუძლია უზარმაზარი სიმძიმის აწევა, თუ ამ ტვირთს მას ზურგზე ავკიდებთ. გამოირკვა, რომ მწერების ამ ჰერკულესს ასე შეუძლია ზიდოს მის საკუთარ წონაზე დაახლოებით 850-ჯერ მეტი. ამის შესაბამისად სპილოს უნდა შესძლებოდა 2000 ტონა ტვირთის აკიდება, ე. ი. იმ ტვირთისა, რომლის გადაზიდვასაც დასჭირდებოდა 40 სატვირთო ვაგონი.

მწერები, მათ სიდიდესთან შედარებით, ხტომაშიც აშკარად სჯობნიან ადამიანებსა და ცხოველებს. ადამიანს რომ კალიისებური ხტომის უნარი ჰქონოდა, იგი თავისუფლად შესძლებდა მრავალსართულიან შენობაზე გადახტომას. ის სიგრძეზე ხტომაშიც მნიშვნელოვნად გადააჭარბებდა ყოველგვარ ადამიანურ რეკორდს, ვინაიდან მას ექნებოდა დაახლოებით 183 მეტრზე, ესე იგი თითქმის ფეხბურთის ორი მოედნის სიგრძეზე გადახტომის უნარი.

რწყილს, მისი, დაახლოებით მილიმეტრი სიგრძის სახტომი ფეხებით, შეუძლია დაახლოებით 32 სმ. სიგრძეზე გადახტომა და 20 სმ. სიმაღლეზე ახტომა. ამის შესაბამისად ადამიანს დაახლოებით 213 მეტრის სიგრძეზე გადახტომა და 137 მეტრის სიმაღლეზე ახტომა უნდა შეძლებოდა. ამ შედეგებთან შედარებით არსებული მსოფლიო რეკორდები ერთობ უფერული ჩანს: ჯესი ოუენსის მსოფლიო რეკორდი სიგრძეზე ხტომაში 8 მ. და 13 სმ-ია, ხოლო იური სტეპანოვის მსოფლიო რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში — 2 მ. და 16 სმ-ს უდრის.

ყოველგვარ მსჯელობას მწერების ძალის შესახებ ადრე თუ გვიან კუნთების ფიზიოლოგიასთან მივყავართ. მწერები რომ სიდიდით ადამიანის ოდენა ყოფილიყვნენ, ისინი არ იქნებოდნენ მასზე ბევრად ძლიერნი.

რუსუდან წერეთელი



# ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები

ვიეტნამის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის ხო-ში-მინის დაბადების დღის აღსანიშნავად მოეწყო ბავშვთა მხატვრული ნამუშევრების კონკურსი. კონკურსზე გამარჯვებული საუკეთესო ნამუშევრების გამოფენა ჰანოიში მოეწყო. გამოფენამ დიდი მოწონება დაიმსახურა. მოსწავლეთა ნამუშევრები ძირითადათ საბჭოთა და ვიეტნამელი, გერმანელი და ვიეტნამელი ბავშვების მეგობრობას ეხება.

აქვეა ნამუშევრები გერმანელ პიონერთა, რომლებმაც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პიონერული ორგანიზაციის,—„ტელმან-პიონიერ„-ის სახელით 100.000 საჩუქარი ჩამოუტანეს ვიეტნამელ პიონირებს.




გერმანელი პიონერები „პატარა მედოლის"—ფრიც ვაინეკის ძეგლთან.

* * *

ინდოელი მხატვრის სანკარას და მისი სატირული ჟურნალის მიერ მოწყობილ ხელოვან ბავშვთა საერთაშორისო კონკურსში 63 ქვეყნიდან 50.000 ნამუშევარი იყო წარმოდგენილი. გამარჯვება წილად ხვდა 14 წლის ჩინელ ლონგ ჰინგ-ჰოს და 5 წლის პოლონელ გოგონას ანია დემბინსკაიას.

კონკურსში გამარჯვებულ ლონგ ჰინგ-ჰოს, საუკეთესო ნახატისათვის, გადაეცა ნერუს მიერ დაწესებული პირველი ჯილდო—ოქროს მედალი, ხოლო ანია დემბინსკაიას ნერუს მიერვე დაწესებული ფულადი პრემია.

* * *

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პიონერული ორგანიზაციის „ტელმან-პიონიერ"-ის სრულიად გერმანიის პიონერთა შეკრებასთან დაკავშირებით გამოიცა სპეციალური საფოსტო ნიშანი. ამ საფოსტო მარკის შემოსავალი მოხმარდება პიონერთა და მოსწავლეთა შორის კულტურული და სპორტული მუშაობის გაშლას.

* * *

ვენეციაში დამთავრდა საბავშვო კინოფილმების საერთაშორისო ფესტივალი. დიდი პრემია ჟიურიმ მიაკუთვნა მექსიკურ ფილმს—„პულგარჩიტოს". საბჭოთა საბავშვო ფილმმა — „ფისოების სახლი"—პირველი პრემია დაიმსახურა.

* * *

გერმანიის პიონერთა III შეკრების დღეებში ქ. ჰალეში ფრიც ვაინეკის პატივსაცემად მშვენიერი ძეგლი დაიდგა. გერმანელი პიონერები ფრიც ვაინეკს „პატარა მედოლეს" უწოდებენ და სიყვარულით იხსენიებენ მის სახელს.

ფ. ვაინეკი ჰალეს მკვიდრია. მან გერმანიის პიონერული ორგანიზაციის დაარსებისათვის ბრძოლაში უშიშარისა და მამაცის სახელი გაითქვა. იგი რეაქციული მთავრობის ხროვასთან ერთ-ერთი შეტაკების დროს გმირულად დაეცა უთანასწორო ბრძოლაში, დიად საქმეს საკუთარი სიცოცხლე შესწირა, მაგრამ მისი საქმეები და სახელი მუდამ იცოცხლებს გერმანელ პიონერთა ნორჩ გულებში.

სრულიად გერმანიის პიონერთა III შეკრების დღეებში ვაინეკის პატივსაცემად ჰალეში აღმართულ ძეგლთან მრავალმა პიონერმა მოიყარა თავი. პატარებმა ლამაზი თაიგულებით შეამკეს გმირი პიონერის ძეგლი.

# მოკლედ ყველაფერზე



## ადამიანმა გადასერა ანტარქტიკა

ახალი ზელანდიის ექსპედიცია, რომელსაც სათავეში ედგა ევერესტის ერთ-ერთი დამპყრობი—ხილარი, ინგლისელ დოქტორ ფუქსთან ერთად სამხრეთ პოლუსისაკენ უნდა წასულიყო. მაგრამ რადგან ფუქსმა დაიგვიანა, ხილარი არ დაელოდა და 1958 წლის 3 იანვარს თავის თანამგზავრებთან ერთად მიაღწია კიდეც სამხრეთ პოლუსს.

ფუქსმა კი სხვაგვარად აანაზღაურა დანაკარგი: მანაც მიაღწია პოლუსს, მაგრამ უკან კი არ დაბრუნებულა. გზა წინ, იმ მიმართულებით განაგრძო, სადაც ასე ტრაგიკულად დამთავრდა სკოტის ექსპედიციის ბედი. როგორც ცნობილია, სკოტი, რომელმაც პირველმა მიაღწია სამხრეთ პოლუსს, უკან აღარ დაბრუნებულა. ფუქსმა 99 დღეში, ყინულსა და ქარბუქში, გადაჭრა მთელი ანტარქტიკა და 3900 კილომეტრი გაიარა.



## ოთხმოცდაათი წლის არწივი

ლალანდის კუნძულზე 1880 წელს მოკლეს ვეებერთელა არწივი, რომლის ფრთის სიგრძე ერთ მეტრამდე აღწევდა. არწივს კისერზე სპილენძის ჯაჭვი ჰქონდა ჩამოკიდებული. ამ ჯაჭვს ზედ ლითონის სულ პატარა ყუთი ეკიდა. როდესაც ყუთი გახსნეს, შიგ აღმოჩნდა ქაღალდი, და ზედ გერმანული წარწერა: «დაჭერილია და გაშვებული დანიაში, 1792 წელს». წარწერას ხელს აწერდნენ: წ. და ს. ანდერსენები. ამით გამოირკვა, რომ არწივი თითქმის 90 წლისა ყოფილა.

## გველების თავდასხმა გემზე

1912 წლის 11 იანვარს ნიუ-იორკის ნავსადგურში შევიდა გემი, რომელიც შორი გზიდან დაბრუნდა. ამ გემს გზაში არაჩვეულებრივი ამბავი შეემთხვა: ინდოეთის ქალაქ კალკუტაში სხვა საქონელთან ერთად შემოიტანეს რკინის გალია, რომელშიც მოთავსებული იყვნენ გველები ნიუ-იორკის ზოოლოგიური ბაღისათვის. გველები შხამიანები იყვნენ, შხამის წინააღმდეგ კი იმ დროს არავითარი საშუალება არ იყო აღმოჩენილი. მგზავრობის მეხუთე დღეს მეზღვაურებმა შეამჩნიეს, რომ გალიის კარები ღიაა და გველები გემს მოსდებიან აუწერელმა შიშმა აიტანა ყველა. მეორე დღეს ერთმა გველმა მეზღვაურს უკბინა, მეზღვაური ერთ საათში გარდაიცვალა. მთელ გემზე საალყო წესები გამოცხადდა, კაპიტანმა სპეციალური რაზმი შეადგინა გველებთან საბრძოლველად, რადგან გველები გემის კუნჭულებში ჩაიმალნენ და მათი იქიდან ამოყვანა ვერავინ მოახერხა. ასეთი მდგომარეობა მოგზაურობის მთელ მანძილზე გაგრძელდა. ნიუ-იორკში მისვლის დროს ბევრ მეზღვაურს სიგიჟის ნიშნები აღმოაჩნდა და სამკურნალოდ წაიყვანეს.

## წარწერები კუს ზურგის ფარზე

1779 წლის ივნისში მდინარეში დაიჭირეს კუ, რომელსაც ზურგის ფარზე ამოჭრილი ჰქონდა ესპანეთის ღერბი წარწერით: «1700 წელს დავიჭირე ეს კუ, ერნარდო გომესი».

კუს ზურგის ფარზე წააწერეს: «ესტენ ჰაროლდი, 1779 წელი» და კვლავ წყალში ჩაუშვეს.

## რვაფეხას კერძი

ისტორიაში შემორჩენილია საინტერესო ამბავი იმის შესახებ, თუ სირაკუზელმა ვინმე ფილოკსმა როგორ შესჭამა მოხარშული რვაფეხა. მაგრამ რვაფეხას კერძი მარტო ძველ საბერძნეთსა და რომში კი არა, ხმელთაშუაზღვისპირა ევროპის სახელმწიფოებშიც დღესაც დიდ დელიკატესად ითვლება. რვაფეხას ძალზე სასიამოვნო ხორცი აქვს, მისგან დამზადებულ კონსერვებს ბლომად შესვდებით საფრანგეთის და ავსტრიის ბაზრებზე. მაგრამ რვაფეხას ძალზე მაგარი ხორცი აქვს, ამიტომ მოხარშვის წინ მას თურმე საათობით ჰკეპავენ.



## გიგანტური წვეთი

ზღვები და ოკეანეები, მდინარეები და წყალსაცავები თითქმის მთლად ფარავენ დედამიწის ზედაპირს. მეცნიერებმა გამოიანგარიშეს რომ წყლის ამ უზარმაზარი რაოდენობის ერთ წვეთში მოქცევა რომ შეიძლებოდეს, ამ წვეთის დიამეტრი თითქმის ათასხუთას კილომეტრს მიაღწევდა; მით რომ თანაბრად დაგვეფარა დედამიწის ზედაპირი, წყალი ჩვენს პლანეტას 2700 მეტრის სისქეზე დაფარავდა.



## ზღვის კიტრები

გოლოტურია, ანუ ზღვის კიტრი—ასე უწოდებენ უხერხემლო ცხოველების ეკლიანი ტიპის ხუთ სახეობას. ისინი თავიანთი ფორმით მართლაც კიტრებს მოგვაგონებენ. ტანის მთელ სიგრძეზე განლაგებული აქვთ ფეხები, რომლითაც ისინი ძალიან ცოტას სარგებლობენ ვინაიდან უმეტეს შემთხვევაში ზღვის ფსკერზე გაუნძრევლად სხედან სილაში ჩაფლულები.

ზღვის კიტრები მეტად უწყინარი არსებანი არიან, მათ არც კბილი აქვთ, არც ეკლები და არც შხამიანი ჯირკვლები. მაგრამ ისინი შესანიშნავი თავდაცვის საშუალებით არიან დაჯილდოვებულნი: საშიშროების შემთხვევაში გოლოტურია სპეციალური მოწყობილობის საშუალებით ორად გაიყოფა და მტერს შეატოვებს მიტაცებულ ნაწილს. ცხოველის მეორე ნახევარი კი ფსკერზე ეცემა და სილაში იფლობა. გოლოტურია არ იღუპება. რამდენიმე ხნის შემდეგ სხეულის ნაწილი ხელახლა იზრდება და ცხოველი ნორმალურ არსებობას აგრძელებს.

ზოოლოგების მიერ დადგენილია, რომ ეს უკარება ცხოველები ხშირად გასაკვირად მომთმენნი არიან. მაგალითად, გოლოტურია რომ დავიჭიროთ და წყლით სავსე ქილაში ჩავსვათ, მისგან გამოცოცდება გველ-თევზა, რომელსაც თუ შეეშინდა რისმე, ისევ ზღვის კიტრის შიგნეულში დაიმალება. ამის გარდა გველ-თევზა შიმშილობის დროს თავისი პატრონის შიგნეულობით იკვებება. თუ რატომ არის გოლოტურია ასე კეთილად განწყობილი ამ სახეობის თევზებთან, ჯერ დადგენილი არ არის.

# რა უფრო სწრაფია?



თქვენ ალბათ დაჯერება გაგიძნელდებათ, რომ ყველაზე სწრაფი ცხოველები ოკეანეთა სიღრმეში, ცხოვრობენ. კალმარს, რვაფეხას და მელანთევზას ისე სწრაფად შეუძლიათ მოძრაობა, რომ მათ ხმელეთის ცხოველები სისწრაფეში ოდნავადაც ვერ შეედრებიან. დიდი რვაფეხები სეკუნდში 6Ɔ მეტრ სისწრაფეს ავითარებენ, რაც საათში 216 კილომეტრს უდრის. ცხოველთა სამყაროში ეს სარეკორდო სისწრაფეა.

იხვები შორეული გადაფრენის დროს თითქმის მატარებლის სისწრაფეს--საათში 70 – 95 კილომეტრს ავითარებენ; ბატები — 67—88 კილომეტრს; სხვა უფრო მომცრო ფრინველები—მხოლოდ 30—48 კილომეტრს გადიან. საფოსტო მტრედების ფრენის სისწრაფე არათანაბარია. 1946 წელს ევროპაში მტრედების შეჯიბრი ჩაატარეს. ამ შეჯიბრში გაიმარჯვა მტრედმა, რომელმაც 736 კილომეტრი ბორდოდან ინგლისამდე 16 საათში დაფარა და საათში 46 კილომეტრი გაიარა. ერთმა განთქმულმა საფოსტო მტრედმა პირველი მსოფლიო ომის დროს 80 კილომეტრი 22 წუთში გაიარა, ასე რომ, საათში მას თითქმის 214 კილომეტრი სისწრაფე განუვითარებია.

ადამიანები, რომლებსაც არ უხდებათ ახლო ურთიერთობა ცხოველებთან, შეცდომით ფიქრობენ, რომ გარეული ცხოველები უფრო სწრაფნი და გამძლენი არიან, ვიდრე შინაურები. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის; ცხენს, მაგალითად, შეუძლია დაეწიოს და უკან ჩამოიტოვოს ყველა გარეული ცხოველი; არც მგელს, არც მელას, არც ლეოპარდს არ შეუძლია მისი გასწრება.

განთქმული ზოოლოგის ტომპსონის აზრით, ცხენი სეკუნდში 16 მეტრს გადის, ანტილოპა — 14,6 მეტრს, არწივი—13,4 მეტრს, კუდღელი — 12,3 მეტრს; მელა—11—12 მეტრს, მგელი — 8,9 მეტრს.

ერთის შეხედვით მძიმე და მოუქნელი ცხოველები ხშირად დიდი სისწრაფით მოძრაობენ. ერთხელ, მაგალითად, დათვი გაჭენებულ ცხენს დაეწია; ხოლო მარტორქა დიდხანს სულ ახლოს მისდევდა თურმე ავტომობილ - «ტატრას», რომელიც 40 კილომეტრი სისწრაფით მიდიოდა.

საინტერესოა, რომ ადამიანი სეკუნდში საშუალოდ 1,2 მეტრს გადის. ნავარჯიშები სპორტსმენები კი სეკუნდში 10 მეტრს გადიან ხოლმე.



## მოსწავლის ლექსიკონი

დილის რეჟიმი — მოსწავლის კუთხის სილამაზე.
ნიშნების ფურცელი — მოსწავლის ცოდნის სარკე.
ახალი სახელმძღვანელოები — ზარმაც მოსწავლესთან ნახეთ.
ზურგი — წიგნის საფარი, რომელიც გაკვეთილის მოყოლას აადვილებს.
მოსწავლის „მხატვრობა" — წიგნების ფურცლებზე ნახეთ.
გლობუსი — ზოგიერთ მოსწავლეს ბურთი ჰგონია.
მერხი — ყოველ გაკვეთილს ესწრება და ზოგიერთ მოსწავლესავით ხმას არ იღებს.
სამელნე — მელანს მოწყურებული.
ჩანთა — ხშირად მელანში გათხვრილი.
კარნახი — „მეგობრობის" გამომხატველი საშუალება.
ცარცი — თვითონ თეთრი, ზოგიერთ მოსწავლეს დაფასთან აშავებს.

გურამ ორჯონიკიძე

## უცხოური იუმორი

ერთ ესპანელს შემოაღამდა და სასტუმროში მივიდა. სასტუმროს კარი დახურული დახვდა, ესპანელმა კარებს კაკუნი დაუწყო.

— ვინა ხარ რომ აკაკუნებ?—შეეკითხა სასტუმროს პატრონი.

— მე ვარ — უპასუხა ესპანელმა—დონ-ხანჩ-ალფონსო-რამოს ჟუან-პედრო-კარლოს-ფრანცის-დომინგ-ღეროქსა.

— არა, კარებს ვერ გაგიღებთ, რადგან ბევრი ყოფილხართ, მე კი ერთი ლოგინის მეტი არა მაქვსო—უპასუხა სასტუმროს პატრონმა, გაბრუნდა და თავი ძილს მისცა.

. . .

ოპერის თეატრში მიმავალმა ცოლ-ქმარმა მოსამსახურეს დაუბარეს: ჩვენ „ფიგაროს ქორწილზე" მივდივართ, რომელიც 12 საათზე გათავდება. ეცადე, რომ ვახშამი მზად დაგვახვედრო.

— დავიჯერო, ქალბატონო, ვახშმად შინ დაბრუნდებით?

— რა თქმა უნდა დავბრუნდებით.

— ვერ გამიგია, მაშ რაღა ქორწილია, თუ ვახშამსაც არ გაჭმევენ?—უპასუხა მსახურმა.

შეკრიბა—ვ. სიდამონიძემ


რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება | ფასი 2 მან.

„ПИОНЕРИ" детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии и республиканского совета пионерской организации имени В. И. Ленина. № 1, 1959. Тбилиси Плеханова, 91. მისამართი: თბილისი, პლეხანოვის პრ. 91. ტელ. 3—81—85.

უე 00802 ტირ. 21 .000, ხელმოწერ. დასაბ. 2/I-59 წ. სტამბის შეკვ. № 1377. გამომც. შეკვ. № 520. საქ. კპ ც. კ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი „კომუნისტი".



ეროვნული ბიბლიოთეკა

## გამოცანა

ახლა ის თვითონ არ სწავლობს,
არც თქვენ გასწავლით, პატარებს,
მაგრამ მთელ დღეებს სკოლაში
თქვენთან ერთად კი ატარებს.

## შარადა

შარადის სიტყვა პირველი
თვითონ იზრდება მასში,
ფრინველი, ღამით რომელსაც
ცეცხლი უელავს თვალში.
თუ სადმე წასვლას აპირებ
რა უნდა დაგრთონ სახლში?
თუ ესეც გამოიცანი,
ორივ შეკრიბე რიგით
და შენს წინ სავსე მშვენებით
გაძაიშლება იგი.

შ. ამირანაშვილი.




## კროსვორდი

ვერტიკალურად: 1· ქალაქი საქართველოში; 2. ციური მნათობი; 4. ჩანჩქერი ამერიკაში; 6. საამშენებლო მასალა; 7. მდინარე აზიაში; 8. სახელმწიფო აზიაში; 14. განსაზღვრული დრო სპორტულ ასპარეზობაში; 15. მცენარე; 17. ქვიანი სანაპირო; 18. აზიური საკრავი ინსტრუმენტი; 20. ძვირფასი ქვა; 21. ქართველი სახალხო გმირი ქალის სახელი; 22. შინაური ცხოველი.



ჰორიზონტალურად: 3. ბარათაშვილის ლექსი; 5. საქართველოს ძველი სატახტო ქალაქი; 9. ხის ჭურჭელი; 10. ცხოველი: 11. შეთანხმება ანუ... 12. მტაცებელი ფრინველი: 13. შეიარაღებული ძალა; 16. საქართველოს ერთ-ერთი მეფე: 19. განთიადი ანუ... 23. ქვანახშირას ცენტრი საქართველოში: 24. პატარა ძაღლი; 25. სპორტული მოედანი.

შეადგინა წნორის ქართული საშ. სკოლის VI კლ. მოსწავლე დარეჯან ტურაშვილმა.

## კოორდინატების დახმარებით

ისარგებლეთ მოცემული კოორდინატებით და დაასახელეთ საკავშირო მნიშვნელობის იმ 4 კურორტის სახელწოდება, რომლებიც მდებარეობენ სტავროპოლის მხარეში.

ომარ ჭეიშვილი.



6 94/31